ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 20 აპრილი, 2011 №93 (5474) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+ „ჩერჩილი“
8 ლარი
18 აპრილიდან
2 მაისამდე




# კახა კუკავა: თბილისსა და ქუთაისში მომხდარი აფეთქებები მერაბიშვილის მოწყობილია

გვ.3

ჩვენი ამოცანა ხელისუფლების გაშიშვლება კი არა, ხელისუფლების შეცვლაა. თავის დროზე სააკაშვილის თქმით, მან ომი იმიტომ წააგო რუსეთთან, რომ რუსეთი გაეშიშვლებინა. ეს განცხადებები ცოტათი მაგონებს სააკაშვილის იმ განცხადებებს.





## ვინ აფეხა სროლა ცხინვალში

გვ.4

კოკოითს თედეევმა დედა ოსურად აგინა

## უმრავლესობა ბაღათურიას დემაგოგობაში ადანაშაულებს

გვ.5



## „ამხილე ჯალათის“ ფარგლებში პირველი საპროტესტო აქცია გაიმართა

გვ.2



გვ.5

## ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო ვეტერანები ბოდიშს იხდიან



გვ.7

## ქართველ კალათბურთელებს გვერდში „ლიბერთი ბანკი“ დაუდგა



## დიდი ქართველების შესახებ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ

გვ.6

## ბაღაფშს სამკურნალო არაფერი სჭირს!

გვ.5



3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 მაჭავარიანმა მთავრობა დასაჯა

3 კახეთში მიწის გადასახადების ამოღება პენსიების ჩამოჭრით ხდება

4 კლინტონის განცხადებამ მოლოდინი არ უნდა გააჩინოს

2 ლევან გაჩეჩილაძე ოპოზიციას გაერთიანებისთვის წინაპირობებს სთავაზობს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## ლევან გაჩეჩილაძე ოპოზიციას გაერთიანებისთვის წინაპირობებს სთავაზობს



ქართული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დგომისათვის ოპოზიციას წინაპირობას უყენებს: აღიარონ, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ყოფნის პერიოდში ჩატარებული ყველა არჩევნები იყო გაყალბებული, ხოლო 2007 წლის 7 ნოემბერს მომხდარი ფაქტები იყო ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის განადგურებისათვის მიზანმიმართულად გადადგმული ნაბიჯები.

როგორც საზოგადოებრივ დარბაზ „ჯაზუში“ სამოქალაქო სექტორთან შეხვედრის შემდეგ ლევან გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი მზად არის ითანამშრომლოს ყველა პარტიასა თუ გაერთიანებასთან, მათ შორის ნინო ბურჯანაძესთან და „წარმომადგენლობითი სახალხო კრებასთანაც“, თუ ისინი მისი წინაპირობების შესაბამის განცხადებებს გააკეთებენ — განაცხადებენ, რომ საქართველოში არჩევნები ყალბდებოდა და ასევე დაგმობენ 2007 წლის 7 ნოემბერს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებს.

გაჩეჩილაძის თქმით, ქართული პარტია ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის მომხრეა და ამისათვის შესაბამის დოკუმენტსაც ამზადებს, რომლის ტექსტსაც უახლოეს მომავალში ბეჭდვითი მედიის საშუალებით გაავრცელებს.

**მედიანიუსი**

## ალასანია გლეხებს ხელისუფლებაზე ზეწოლას დაჰპირდა

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია გუშინ გორის რაიონის სოფლების მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო.

ალასანია ტირძნისის, ბროწ-



ლეთის, ზერტის, ახრისისა და ქორდის მცხოვრებლებს შეხვედა.როგორც შეხვედრაზე მოსახლეობამ განაცხადა, სერიოზული პრობლემები აქვთ მიწებთან და სარწყავ წყალთან დაკავშირებით, ხელისუფლება კი მათ ყურადღებას არ აქცევს.

მათი თქმით, სოფლის საძოვრებით ვერ სარგებლობენ, რის გამოც საქონლის გამოკვებას ვერ ახერხებენ და ეს მათ ისედაც მცირე შემოსავალზე კატასტროფულ ზეგავლენას ახდენს. ალასანიას თქმით, გლეხებმა მას შესჩივლეს, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები საძოვრებს ფარული ტენდერებით ითვისებენ..

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი გლეხებს დაჰპირდა, რომ აიძულებს ხელისუფლებას, მათი პრობლემების გადაჭრაზე იფიქრონ.

**მედიანიუსი**

# მაჭავარიანმა მთავრობა დასაჯა

**ნანა მიშელაშვილი**

ქრისტიან-დემოკრატი ნიკა ლალიაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას „რეპრესიულ სისტემაში ბზარების გაჩენად“ აფასებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უმრავლესობასა და ოპოზიციაში კამათის მიზეზი გახდა.

2009 წლის ივლისში საპარლამენტო უმრავლესობამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დაწესებულებების შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მანიფესტაციებისა და აქციების ჩატარება აიკრძალა. ამ კანონის მიღებას წინ დებატები და ოპოზიციასა და უმრავლსეობას შორის კამათი უძღოდა.

დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა გაიხსენა ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციები მანიფესტაციების ჩატარების წესების გამკაცრებასთან დაკავშირებით.ლალიაშვილის თქმით, თავის დროზე, აზრთა სერიოზული ჭიდილი და დაპირისპირება იყო, ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქცია კი ცდილობდა დაემტკიცებინა უმრავლესობისთვის, რომ არაკონსტიტუციურ და დისკრიმინაციულ ცვლილებებს იღებდა, მაგრამ მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ გადაწყვეტილება კბილებით გაიტანა.

ნიკა ლალიაშვილმა ისიც გაიხსენა, რომ ამ კანონზე კენჭისყრისას ქრისტიან-დემოკრატებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს, თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება, რის შემდეგაც მისმა ფრაქციამ პრეზიდენტს ამ კანონზე ვეტოს დადება მოსთხოვა.

ლალიაშვილმა უპრეცედენტო და მოულოდნელი უწოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში რამდენიმე ნორმა.

— ამ გადაწყვეტილებით იხეირა საზოგადოებამ, არასამთავრობო სექტორმა და თავად საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლის ავტორიტეტი გაიზარდა, თუმცა წააგო ნაციონალური მოძრაობის ყველაზე აგრესიულმა ფრთამ, — დასძინა ნიკა ლალიაშვილმა.

დეპუტატის განცხადებით, როცა ყველას ეგონა, რომ ჩალით არის დაფარული ეს ქვეყანა, აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არ ყოფილა.

— წარმოიდგენია, რის ფასად დაუჯდებოდა მოსამართლეს ამ გადაწყვეტილების მიღება. ეს ნიშნავს, რომ დიდ რეპრესიულ სისტემაში ბზარი გაჩნდა და ეს არის მინიშნება, რომ სისტემა მალე დასრულდება, — მიმართა ნაციონალური მოძრაობის წევრებს ნიკა ლალიაშვილმა.

ქრისტიან-დემოკრატი დეპუტატის ეს განცხადება უპასუხოდ არ დაუტოვებია მმართველ ფრაქციას.

საპარლამენტო უმრავლესობა მანიფესტაციების და შეკრებების შესახებ კანონის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას არ იზიარებს, თუმცა, მზად არის პარლამენტში შესაბამისი პროცედურა დაიწყოს.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა არ გაიზიარა ნიკა ლალიაშვილის ის შეფასება, რომ საინტერესოა, თუ რად დაუჯდა კონკრეტულ მოსამართლეს ეს გადაწყვეტილება.

— არაფრადაც არ დაუჯდა, — განაცხადა კუბლაშვილმა და დაამატა, რომ საქართველო დემოკრატიული სამყაროს ნაწილია და მოსამართლე იღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მისი შინაგანი რწმენიდან გამომდინარეობს.

პავლე კუბლაშვილმა ოპოზიციას მოუწოდა, ნუ წარმოაჩენენ ისე, თითქოს რაღაც გამონაკლისი მოხდა. კუბლაშვილის განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, როგორიც საჭიროდ ჩათვალა.

— თუმცა, იმ ნაწილში, რაშიც სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტული ნორმა არაკონსტიტუციური იყო, არ ვიზიარებთ, მაგრამ მზად ვართ შესაბამისი პროცედურა გავაგრძელოთ პარალამენტში, — განაცხადა კუბლაშვილმა.

უმრავლესობას საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმაც მიმართა. მან უმრავლესობას მოუწოდა, საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა აღიაროს.

გიორგი ახვლედიანმა გაიხსენა, რომ როდესაც „ქრისტიან-დემოკრატები“ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის არაკონსტიტუციურობაზე საუბრობდნენ, უმრავლესობა მათ არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებდა.

— თქვენ ქვეყანა მთელი ორი წელი არაკონსტიტუციური კანონით აცხოვრეთ და დააპატიმრეთ რამდენიმე ადამიანები. ახლა მაინც აღიარეთ, რომ კონსტიტუციას არღვევდით, — მიმართა ახვლედიანმა უმრავლესობის წევრებს და იმედი გამოთქვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უახლოეს პერიოდში სხვა არაკონსტიტუციურ ნორმებსაც გამოავლენს.

ოპოზიციას თეთრი სახლის მაგალითი შეახსენა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა.

ცისკარიშვილის თქმით, ოპოზიცია უნდა დაფიქრდეს, რა მოხდება თუ აშშ-ში თეთრი სახლის მისადგომებთან მანიფესტაცია მოეწყობა.

— რა თქმა უნდა, ასეთი შეზღუდვები არსებობს. თქვენ კი ამტკიცებდით, რომ ქუჩის გადაკეტვა საკნებით და ბარიკადებით შესაძლებელია და ეს კონსტიტუციურია, მაგრამ ამაზე პასუხი მიიღეთ, — მიმართა ცისკარიშვილმა ოპოზიციას.

— ნახეთ და მოისმინეთ თუ არა, რომ სასამართლომ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც პრინციპებს ეფუძნება. ამ ფაქტს უნდა დაფასება, სასამართლოს რეფორმირების შედეგად პრინციპული სასამართლო მივიღეთ, — აღნიშნა ცისკარიშვილმა.

როგორც ჩანს, მმართველი ფრაქცია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების რეგულაციის გარეშე დატოვებას არ აპირებს.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მართალია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედება შეჩერდა, მაგრამ პარლამენტმა უნდა იმსჯელოს, თუ როგორი რეგულაცია უნდა იყოს ამ საკითხთან მიმართებაში.

— შეიძლება ეს საკითხი ახლებურად დარეგულირდეს ისე, როგორც ამაზე სასამართლო გადაწყვეტილებაში იქნება მითითებული, — განაცხადა კუბლაშვილმა.



— კანონის ის ნორმები, რომელსაც არაკონსტიტუციურად ოპოზიცია აფასებს და მიაჩნიათ, რომ ქუჩის ბარიკადებით გადაკეტვა კონსტიტუციურია, არ შევეხებით, — აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა. გუშინ პარლამენტში ოპოზიციისა და პოზიციის კამათი მშვიდად დასრულდა. სამაგიეროდ, მთავრობა „დაისაჯა“. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მიხეილ მაჭავარიანმა აღმოაჩინა, რომ კანონპროექტზე მომხსენებელი დარბაზში არ იმყოფებოდა.

მიხეილ მაჭავარიანმა მთავრობა „დასაჯა“. პარლამენტის სხდომის წამყვანმა მაჭავარიანმა მთავრობის საპარლამენტო მდივანი მოიკითხა, რომელსაც კანონპროექტი უნდა გამოეტანა. გია ხუროშვილი იმ დროს სხდომათა დარბაზში არ იყო.

— მთავრობას, სამწუხაროდ, ხელფასს ვერ დავუქვითავ, მაგრამ დაგვიანებისთვის დავსჯი და მის კანონპროექტს არ განვიხილავ, — იხუმრა მაჭავარიანმა.

მთავრობის დასჯის ანუ ხელფასის დაქვითვის მექანიზმი პარლამენტის სხდომის წამყვანს არა აქვს. რაც შეეხება დეპუტატებს, მათ ხელფასს იმის გამო უქვითავენ, თუ კანონპროექტზე მომხსენებლები არიან და დარბაზში არ იმყოფებიან.

ამის შემდეგ მაჭავარინმა რამდენიმეწუთიანი შესვენება გამოაცხადა. შესვენების შემდეგ მთავრობის საპარლამენტო მდივანი დარბაზში მივიდა. სხდომის წამყვანმა კანონპროექტის განხილვა-არგანხილვის საკითხი დარბაზს მიანდო.

— ბატონმა ხუროშვილმა დააგვიანა და რა ვქნათ? — მიმართა მიხეილ მაჭავარინმა დეპუტატებს.

დარბაზს მაინცდამაინც დიდი აქტიურობა არ გამოუჩენია.

— ხალხის ხმა არ მესმის, — იხუმრა მაჭავარიანმა.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე დეპუტატმა დაიძახა, რომ ხუროშვილი არ უნდა დაინდონ, მაჭავარიანმა დაამატა: „რა ვქნა, ხალხმა გადაწყვიტა“. ამის შემდეგ კანონპროექტის განხილვა აღარ მომხდარა და მასზე მსჯელობა შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

## „ეროვნული საბჭო“ ჰილარი კლინტონის განცხადებას უპრეცედენტო მხარდაჭერად აფასებს

„ეროვნული საბჭო“ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადებას, საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით, „ოპოზიციური რვიანის“ მიერ წამოწყებული პროცესის უპრეცედენტო მხარდაჭერად აფასებს.

კლინტონის განცხადებას „ეროვნული საბჭოს“ ლიდერები კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური გუშინ, საბჭოს მთავარ ოფისში გამოეხმაურნენ. დავითაშვილმა მოუწოდა ხელისუფლებას, კვლავ მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას. მისი თქმით, ოპოზიციამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი კომპრომისისკენ, როცა მაჟორიტარული სისტემა დათმო და ახლა ჯერი ხელისუფლებაზეა - ბიომეტრიული სიების საკითხში.

—ამ პროცესს აქვს ძალიან დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა და ეს ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს წარმატებული მოლაპარაკებებისთვის, — აღნიშნა მან. ძიძიგურის თქმით, კლინტონის განცხადებაში აღნიშნულია 2012-2013 წლებში ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გადაბარების შესახებ, რაც მისი შეფასებით, „არ არის იოლად ნათქვამი“.

— ჩვენ გვინდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვინც სკეპტიკურად უყურებენ „რვიანის“ მიერ წამოწყებულ პროცესს, ეს არის პროცესი, რომელ-



საც შეუძლია ქვეყანაში, თუნდაც ერთხელ, ხელისუფლება თავისუფალი არჩევნების გზით შეცვალოს, — განაცხადა მან.

ძიძიგურმა, დიპლომატიური მხარდაჭერის პარალელურად, პოლიტიკურ ძალებსა და სამოქალაქო საზოგადოებას საარჩევნო რეფორმის პროცესში აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა.

ჰილარი კლინტონმა ბერლინში, საქართველო-ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრზე, მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს დასავლეთისადმი მისწრაფებას და მადლობა გადაუხადა ქვეყანას ავღანეთში მისი წვლილისთვის, თუმცა, ამავდროულად განაცხადა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა დემოკრატიული კურსი უნდა უზრუნველყოს.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს, განსაკუთრებით საარჩევნო კანონმდებლობის სფეროში რეფორმების განხორციელებაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების სრულყოფილი და დემოკრატიული გადაცემა მომდევნო 2012 და 2013 წლების არჩევნებში,— აღნიშნა კლინტონმა.

**ინტერპრესნიუსი**

## „ამხილე ჯალათის“ ფარგლებში პირველი საპროტესტო აქცია გაიმართა

გუშინ „სახალხო კრების“ ახალგაზრდულმა ფრთამ და მოძრაობამ „არა!“, პროექტ „ამხილე ჯალათის“ ფარგლებში, პირველი საპროტესტო აქციას გამართეს. აქცია სოფელ დიღმის ასასვლელიდან მსვლელობით დაიწყო და თბილისის პოლიციის გლდანნაძალადევის მე-3 სამმართველოს უფროსის კობა ჩადუნელის სახლთან დასრულდა. აქციის ორგანიზატორების თქმით „ამხილე ჯალათის“ მიზანი ჩინოვნიკების მხილებაა.

როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, კობა ჩადუნელს წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის დანაშაული აქვს ჩადენილი. ის 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციების დარბევაში მონაწილეობდა, რის შემდეგაც ის დააწინაურეს და მე 10 განყოფლების უფროსი გახდა. 2008 წლის საპროტესტო აქციების დარბევაში მონაწილების გამო კი ის 2009 წელს გლდან-ნაძალადევის მე-3 სამმართველოს უფროსად დაინიშნა.

სახალხო კრების ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლის ოთარ ანგურიძის განცხადებით, აქციის მიზანია ხალხს გააგებინონ, თუ ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც მუდმივად უწევენ წინააღმდეგობას ხელისუფლებისადმი მიმართულ პროტესტს.

ამხილე ჯალათის„ პროექტის ფარგლებში აქციები პერმანენტულად გაიმართება და ის კონკრეტული პიროვნებების საცხოვრებელ სახლებთან მოეწყობა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.

საავტორო უფლებები დაცულია.

## ნიკა გილაური იტალიაში ვიზიტს განაგრძობს

იტალიაში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური იტალიის პარლამენტის თავმჯდომარეს, ვიცე-პრემიერისა და იტალიის საინვესტი-



ციო ინსტიტუტის წარმომადგენლებსაც შეხვდა. მათი განმარტებით, საქართველოში სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელებით არაერთი იტალიური კომპანიაა დაინტერესებული.

— ჩვენ შევხვდით იტალიის საინვესტიციო ინსტიტუტის საჩეს„ პრეზიდენტს. საჩე„ არის პოლიტიკური და ეკონომიკური დაზღვევის ორგანიზაცია, რომელსაც ძალიან დიდი ინტერესი აქვს იტალიურ კომპანიებს საქართველოში ინვესტიციები განახორციელებინოს, — განაცხადა საქართველოს პრემიერმა.

როგორც იტალიის საინვესტიციო ინსტიტუტის პრეზიდენტმა ჯოვანი კასტელანტემ განაცხადა, საქართველო უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყანაა და საჩე„ დაინტერესებულია საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით.

ვიზიტის ფარგლებში ნიკა გილაური დღეს იტალიის ეკონომიკის მინისტრსაც შეხვდება. შეხვედრაზე მხარები, სავარაუდოდ, საქართველოში იტალიური კომპანიების ინვესტიციებსა და მათ მხარდაჭერაზე ისაუბრებენ.

**მედიანიუსი**

## კახეთში მიწის გადასახადების ამოღება პენსიების ჩამოჭრით ხდება

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში მიწის გადასახადებს სახელმწიფო პენსიების ჩამოჭრით იღებს. მიმდინარე თვეში 100 მდე პენსიონერმა სოფელში პენსია ვერ მიიღო, პრობლემის შესწავლისას კი მათ გაარკვიეს, რომ სახელმწიფომ მათი პენსია ბიუჯეტში გადარიცხა, რაც 2004-2005 წლების მიწის გადასახადების დავალიანების ამოღებას უკავშირდება, — აცნობეს „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“,

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ 2004 და 2005 წლებში მთავრობამ საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარზე ნაკლები მიწის მქონე ყველა გლეხს მიწის გადასახადის დავალიანება გააუქმა, ახლა კი სწორედ იმ პერიოდის გადასახადებს სთხოვენ.

— ჩვენ ვიცოდით, რომ გადასახადი არ უნდა გადაგვეხადა, რადგან პრეზიდენტის ინიციატივით, ვისაც 5 ჰექტარზე ნაკლები მიწა ჰქონდა, ყოველწლიური გადასახადისგან გათავისუფლებული იყო. 2005 წლიდან დღემდე არც არავის უთქვამს, რომ ჩვენ დავალიანება გვერიცხებოდა, ახლა კი გვითხრეს, რომ თურმე ამ პერიოდის განმავლობაში გადასახადები უნდა გადაგვეხადა. ეს ამბავი მხოლოდ ჩვენს სოფელში ხდება და დიდი გაურკვევლობაა, — განაცხადეს ადგილობრივებმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი საპენსიო ანგარიშებზე ინკასოს დადების ფაქტს ადასტურებს, თუმცა ნიკოლოზ შანშიაშვილი ამბობს, რომ პენსია მხოლოდ იმ გლეხებმა ვერ მიიღებს, რომლებსაც მიწის ნაკვეთი საიჯარო ხელშეკრულებით ჰქონდათ აღებული. რაც შეეხება საკუთრებაში არსებული მიწის მეპატრონეების საპენსიო ანგარიშებს, ისინი პენსიას ჩვეულებრივ მიიღებენ და მათზე ინკასო არ გავრცელდება. ნიკოლოზ შანშიაშვილის თქმით, ეს პრობლემა მალე მოგვარდება და მათი ანგარიშებიც გაიხსნება, რომლებსაც დავალიანება რეალურად აქვთ.

— ისინი პენსიას აუცილებლად მიიღებენ, — ამბობს გამგებელი.

**მედიანიუსი**

# კახა კუკავა:
# თბილისსა და ქუთაისში მომხდარი აფეთქებები მერაბიშვილის მოწყობილია

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, დღეს ქართველ საზოგადოებაში ძალიან ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილის წასვლის დრო დადგა და აუცილებელია ოპოზიცია გაერთიანდეს, რათა ერთიანი ძალებით განახორციელოს ეს პროცესიო. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის მზად დღეს ოპოზიცია იმისათვის, რომ ამ საკითხში ერთიანი იყოს?***

— სააკაშვილის წასვლის დრო უკვე კარგა ხანია დამდგარია. რაც შეეხება ოპოზიციის ერთიანობას, ოპოზიციის ერთიანობა ძალიან რთული საკითხია, რადგან ოპოზიცია არ არის ერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიებს შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. ამიტომ, ისეთი ტიპის ერთობა, რომელიც, დავუშვათ, შეიძლება იყო რამდენიმე წლის წინ, როდესაც ყველა ოპოზიციური პარტია ერთ კოალიციაში ერთიანდებოდა, ალბათ რთული წარმოსადგენია. კიდევ ერთხელ ვამბობ, ბევრი ოპოზიციური პარტია დაადგა უკვე ღიად ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და ხელისუფლებასთან ინტეგრაციის გზას. რაც შეეხება იმ ოპოზიციური ძალების გაერთიანებას, რომლებიც არ მოიაზრებიან ხელისუფლების ბლანკზე, ე.წ. რევოლუციური ფლანგი, აქაც გარკვეული სირთულეები არის. იმიტომ რომ, მე ვფიქრობ, ერთგვარად ოპოზიცია არის ნამდვილად ჭაობში და აუცილებელია, საზოგადოების მოთხოვნაა, რომ უნდა ჩამოყალიბდეს ხელისუფლების ალტერნატიული ძალა, რომელიც ჯერჯერობით ნამდვილად არ არის გამოკვეთილი.

***— როგორ ფიქრობთ ეს რევოლუციურად განწყობილი პარტიები რამდენად შეძლებენ ერთმანეთში საერთო ენის გამონახვას. იგივე ქართული პარტიის ლიდერებმა გააკეთეს განცხადება, რომ ისინი მზად არიან სახალხო კრებასთან სათანამშრომლოდ, ოღონდ ნინო ბურჯანაძის გარეშე...***

— განცხადების გაკეთება შეუძლია ყველა პოლიტიკურ პარტიას, მთავარი არის ქმედებები. განცხადებების მიხედვით რთულია ჩვენ ვიმსჯელოთ პოლიტიკური პარტიების წონასა და მზადყოფნაზე, იმიტომ, რომ განცხადებები არ მოითხოვს არც განსაკუთრებულ ძალისხმევას და არც პრინციპულობას. მთავარი არის ქმედებები და ჩვენ დავინახავთ ალბათ, მიმდინარე წლის მაისში, რამდენად შეძლებენ ცალკეული პარტიები რეალური ქმედებების განხორციელებას.

***— თქვენ თუ აპირებთ ამ აქციებში მონაწილეობას?***

— ჩვენ ყველა შემთხვევაში მივიღებთ მასობრივ აქციებში მონაწილეობას, მაგრამ ეს იქნება მონაწილეობა და არა ორგანიზება. 2011 წლის გაზაფხულზე ჩვენ არა ვართ მზად იმისათვის, რომ დამოუკიდებლად გავაკეთოთ საპროტესტო აქციების ორგანიზება.

***— როდესაც საუბარია ერთიან პოზიციაზე, თქვენ თუ ხართ მზად, რომ რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შექმნათ კოალიცია?***

— ჩვენ მზად ვართ კონკრეტული საკითხის ირგვლივ ნებისმიერ პარტიასთან ვითანამშრომლოთ.

***— იგივე სახალხო კრებასთანაც?***

— რატომაც არა. თავის დროზე სწორედ ჩემი ინიციატივით შედგა, გახსოვთ თქვენ, რომ სწორედ 25 ნოემბრის წინა დღეს ჩვენ მხარი დავუჭირეთ, სოლიდარობა გამოვუცხადეთ სახალხო კრებას და მე პირადად არჩეული ვიყავი კიდეც სახალხო კრების ერთ-ერთ ორგანოში, მაგრამ შემდგომში ჩვენ ვერ დავინახეთ მეორე მხრიდან ასეთი თანამშრომლობის სურვილი, რის გამოც ეს პროცესი შეფერხდა. მე ყოველთვის ვთვლი, რომ თანამშრომლობა აუცილებელია ყოველთვის პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, მაგრამ ხშირად, ვფიქრობ, ეს არ არის დასაბუთებული და არ არის ლოგიკური იმიტომ, რომ ზოგიერთი პარტია ფიქრობს, რომ უფრო მნიშვნელოვანია ოპოზიციურ ფლანგზე კონკურენტების ჩამოშორება, ვიდრე ხელისუფლების. ვფიქრობ, ეს სერიოზული და სტარატეგიული შეცდომაა.

***— სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება ეს ტენდენცია...***

— სწორედ ამ მიზნით ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ახალი პარტია. მე რვა წელია ვარ პოლიტიკაში, მაგრამ ცალკე



პარტიის ჩამოყალიბება ადრე არ მიფიქრია. საერთოდ ყოველთვის სკეპტიკურად ვუყურებდი პოლიტიკური პარტიების შექმნას, მაგრამ რეალურად ამ რვა წელიწადმა მე დამანახა, რომ პარაქტიკულად ვერც ერთი, არსებულ პოლიტიკურ პარტიებში ვერ იძლევა იმის შანსს, რომ რეალურად პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს. არ არსებობს, მე ვერ დავინახე ვერც ერთ პარტიაში ხედვა იმისა, რას ნიშნავს თანამედროვე ევროპული ტიპის პოლიტიკური პარტია საქართველოში. ძალიან კარიერისტული გახდა პოლიტიკური პარტიების შექმნა, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიები იქმნება ერთი ადამიანის კარიერის შესაქმნელად მეგობარ-ნაცნობებთან ერთად. ძალიან გაუჭირდებათ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელიც ან მეგობრული ან ნათესაური ნიშნით არ არის შექმნილი და შექმნილია იდეოლუგიურ საფუძველზე. ეს არის რეალური გამოწვევა დღეს არსებული პოლიტიკური სპექტრისთვის. მე არ ვამბობ, რომ ჩვენი პარტია, რომელიც შეიქმნა ახლა, აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ევროპული ტიპის ორგანიზაცია, მაგრამ ჩვენ აქეთკენ მივდივართ.

***— ასევე მინდა გკითხოთ რვიანის საქმიანობასთან დაკავშირებით, თქვენ თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდით ამ მოლაპარაკებებს. ფაქტია, რომ ხელისუფლება საკმაოდ ცინიკურად პასუხობს მათ პოზიციებს. როგორ ფიქრობთ, უბრალოდ დროის კარგვა იყო ეს ყველაფერი?***

— ხელისუფლება, ბუნებრივია, სწორად თამაშობს. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ ამ საკითხებს, რაც შეეხება ხელისუფლების შენარჩუნებას, ხელისუფლება თამაშობს ძალიან სწორად. მიკვირს კიდევაც, რომ ამ საქმეში ასეთი ნიჭიერები და ტალანტურები არიან, რატომ არასდროს არ გამოაჩნდებათ ხოლმე ანალოგიური ტალანტი ან საგარეო პოლიტიკაში ან კონფლიქტების მოგვარების საქმეში? როგორც ჩანს, ეს საქმე გულით უნდათ რომ გამოვიდეს და სხვა საკითხების მიმართ ასეთი მოტივაცია არ გააჩნიათ. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ მას დღეს რეალურად ოპოზიციურ სპექტრში კონკურენტი არ ჰყავს. რეალურად დღეს საქართველოში პოლიტიკურ ძალას, რომელი ძალაც მზად არის ხელისუფლების შესაცვლელად, ასეთ ძალას მე ვერ ვხედავ. ამას, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაც აცნობიერებს და ამიტომაც ის თამაშობს, ის ვაბანკზე მიდის და იმ პარტიებს, რომლებიც საარჩევნო მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ეუბნება: გინდათ მოლაპარაკებები? დაჯექით და მიიღეთ ჩვენი პირობები. არ გინდათ ჩვენი პირობების მიღება და არ გინდათ მოლაპარაკებები, მაშინ ჯანდაბაშიც წასულხართ. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ არსად წასასვლელი მართლაც იმ პარტიებს არა აქვთ. მე ვფიქრობ, მათი მხრიდან ეს პირველ რიგში პოლიტიკური შეცდომა იყო. ეს განცხადება ალასანიამ გააკეთა პირველმა და მერე ყველანი აყვნენ, როდესაც თვითონ მოიჭრეს გზა ქუჩისაკენ. ჩემი აზრით, ეს იყო უხეში პოლიტიკური შეცდომა. ამით მათ პრაქტიკულად ხელისუფლებას წინასწარ გამოუცხადეს თავისი გეგმები, რომ მათ გარდა მოლაპარაკებებისა სხვა გზა არა აქვთ. იცით კარტში თამაშის დროს არსებობს ასეთი პოზიცია ბლეფი, როდესაც მოწინააღმდეგემ არ იცის თუ რა ნაბიჯის გადადგმას აპირებ და რესურსი გაქვს. ეს ხშირად პოლიტიკურ თამაშებშიც გამოიყენება ხოლმე ხშირად და როდესაც ოპოზიციური პარტიები წინასწარ ამბობენ, რომ იცით რა, ჩვენ არ გვაწყობს ის პირობები, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს, მაგრამ გამოვრიცხავთ, რომ გავმართოთ საპროტესტო აქციები ხელისუფლების წინააღმდეგ, გასაგებია, რომ ხელისუფლება არანაირ დათმობებზე არ წავა.

***— ხელისუფლება სთავაზობს თავის თამაშის წესებს და სთხოვს ამ წესებით ითამაშოს?***

— დიახ. მე არ ვლანძღავ მათ, უბრალოდ ვაკრიტიკებ და ვფიქრობ, რომ ეს შეცდომა მოლაპარაკების დროს დაშვებული იყო და მე თავიდანაც მქონდა ამაზე საუბარი კულუარულად და მას შემდეგ, რაც ამან შედეგი არ გამოიღო, გავაკეთე კიდეც თავის დროზე განცხადებები. თავიდან კი ძალიან იმტკიცეს, არა, რა კუბო და რა თავსახური, ამ საქმიდან ნამდვილად შედეგი გამოვაო, მაგრამ რამდენიმე დღეში იძულებულები გახდნენ, რომ პრაქტიკულად გაემეორებინათ ჩემი განცხადებები.

***— ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ ამ რვა პარტიის ნაწილმა მაინც გადაინაცვლოს ქუჩაში?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს გამორიცხულია, ისინი არიან იმ წრეში, საიდანაც თავის დაღწევა არც ისე ადვილია.

***— ისინი აცხადებენ, რომ ამით ხელისუფლებას აშიშვლებენ და აჩვენებენ მათ ნამდვილ სახეს...***

— ჩვენი ამოცანა ხელისუფლების გაშიშვლება კი არა, ხელისუფლების შეცვლაა. თავის დროზე სააკაშვილი ამბობდა, რომ მან ომი იმიტომ წააგო რუსეთთან, რომ რუსეთი გაეშიშვლებინა და ეს განცხადებები ცოტათი მაგონებს სააკაშვილის იმ განცხადებებს. ჩვენი საზოგადოების ამოცანა არის მივიღოთ რეალური შედეგები. რეალური შედეგის მიღწევა კი მასობრივი აქციების გარეშე გამორიცხულია. ამიტომ, მე არ მჯერა რომელიმე პოლიტიკური პარტიის, რომელიც ამბობს, რომ იცით რა, აქციები და რევოლუცია არის დაღუპვა და 90-იან წლებში დაბრუნება. მე არ მჯერა, რომ ის პარტია არის ოპოზიციური.

***— მოდით ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაც შევაფასოთ, რომელიც საკმაოდ მწვავეა და ბევრი ფიქრობს, რომ შესაძლოა სააკაშვილი ამ დასკვნას გადაყვესო...***

— არა, ამ დასკვნას სააკაშვილი არ გადაყვება იმიტომ, რომ ასეთი ტიპის დასკვნები იდება მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში და ბევრად უფრო მწვავედ. ეს დასკვნა ნიშნავს სააკაშვილის დისკრედიტაციას და დისკრედიტაციასა და რეჟიმს. ჩვენ შორის დიდი სხვაობაა. მაგალითად, კადაფის დისკრედიტაცია მოხდა 40 წლის წინ და რეჟიმის შეცვლა ახლა ხდება და შემიძლია ძალიან ბევრი სხვა მაგალითის შესახებ გავიმეორო. ამიტომ, მე ვფიქრობ, საქართველოში სანამ მართლაც არ შეიქმნება ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, უბრალოდ, არც ამერიკას და არც სხვა დიდ სახელმწიფოებს არჩევანი არა აქვთ, რა უნდა გააკეთონ. სააკაშვილის გარდა დღეს სხვა კანდიდატურა საქართველოს ხელისუფლების პირველი პირის პოსტზე არ განიხილება მსოფლიოში. ეს სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ჩვენ ეს რეალობა უნდა დავინახოთ.

***— იმედია 40 წელი არ მოგვიწევს ლოდინი...***

— მე ვფიქრობ კვანძი გაცილებით უფრო მალე გაიხსნება, იმისთვის რომ კვანძი მალე გაიხსნას, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.

***— საუბარია, რომ სწორედ სააკაშვილის გუნდი იბრძვის და ცდილობს სააკაშვილის ჩანაცვლებას, იგივე ბოკერიაზე მიდის აქტიურად საუბარი...***

— ეს რეალობას არ შეესაბამება. სააკაშვილის გუნდში, რასაკვირველია, მიდის გარკვეული დაპირისპირებები, მაგრამ სააკაშვილის ჩანაცვლებაზე საუბარი არ არის, ეს შემიძლია გითხრათ დარწმუნებით იმიტომ, რომ ყველა გუნდი, მათ შორის ბოკერიაც, თვითონაც კარგად აცნობიერებს, რომ მათ სააკაშვილის ჩანაცვლებისთვის არანაირი რესურსი არ გააჩნიათ. სააკაშვილის გადადგომა ეს უდრის ბოკერიასთვის ციხეს და არა მისი პოსტის დაკავებას და დაახლოებით იგივეს უდრის საქართველოს ხელისუფლების ყველა სხვა ხელმძღვანელისათვის. ისინი შეიძლება უპირისპირდებიან ერთმანეთს, უგულავა-ახალაიას, ბოკერია კიდევ ვილაცას და ასე შემდეგ, მაგრამ არა სააკაშვილს. იმიტომ, რომ რეჟიმის შენარჩუნება სააკაშვილის გარეშე ამ ეტაპზე მათთვის სრულიად წარმოუდგენელია და პრინციპში, ამაში მართლებიც არიან. იმიტომ, რომ ცალკე აღებულ ამ დაჯგუფებებს ძალიან გაუჭირდებათ ხელისუფლების კონტროლის ძირითადი ბერკეტების შენარჩუნება.

***— როგორ ფიქრობთ, შეიცვლება პოლიტიკური სიტუაცია ამ გაზაფხულზე თუ მშვიდად მივალთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე?***

— მე ვფიქრობ, რომ მოხდება ეტაპობრივი ცვლილებები, მე არ ველოდები რევოლუციურ ცვლილებებს უახლოეს დღეებში.

***— რაც ახლოვდება აქციების დათქმული ვადა, მით უფრო აქტიურდება თემა ოპოზიციონერი ლიდერების დაკავების შესახებ, დღეს აქტიურად საუბრობენ ნინო ბურჯანაძის დაკავებაზე. რა ინფორმაციებს ფლობთ, არის ამ ყველაფერზე წამსვლელი ხელისუფლება?***

— დიახ, ხელისუფლება არის ამ ყველაფერზე წამსვლელი და ეს არაერთხელ გვინახია 2007 და 2009 წელს, როდესაც ხდებოდა მთელი რიგი ფაბრიკაცია სხვადასხვა ყალბი მტკიცებულებებისა და საქმეებისა, თითქოსდა ამბოხების, თითქოსდა იარაღის შესყიდვების შესახებ და შემდგომ ამ საქმეებმა ვერანაირი გაგრძელება ვერ ჰპოვა. ამიტომ, რა თქმა უნდა, მე ველოდები იმას, რომ ტერო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ვინ ატეხა სროლა ცხინვალში

თეა მარხვაი ე

## კოკოითს თედეევმა დედა ოსურად აგინა

ცხინვალში ცხოვრება საკმაოდ საინტერესო გახდა. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წყალობით აქ ვითარება საკმაოდ დაიძაბა. არჩევნები აქ ნოემბერში ტარდება. პრეზიდენტობის კანდიდატთა ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ამ არჩევნებში კოკოითი მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. მას ამის უფლებას კონსტიტუცია არ აძლევს.

გავრცელებული ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს კოკოითის ყოფილმა მეგობარმა და ამჟამად დაუძინებელმა მტერმა ძამბოლატ თედეევმა. ეს უკანასკნელი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია თავისუფალ ჭიდაობაში. ის რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირად ითვლება.

კოკოითისთან ის უკვე თითქმის ათი წელია დაპირისპირებულია. 5 წლის წინ კი ისინი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები გახდნენ.

კარგა ხნის განმავლობაში კოკოითი „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე არ უშვებდა ძამბოლატ თედეევს. მას ცხინვალში არაერთი პროვოკაცია მოუწყვეს. პროვოკაციულად დასრულდა მისი ბოლო ვოიაჟი ცხინვალში.

ცხინვალში ძამბოლატ თედეევი და მისი შანტრაბა 18 აპრილს ჩავიდნენ. ისინი იქ ვლადიკავკაზიდან გაემგზავრნენ, სადაც თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ჩემპიონატი ტარდებოდა. თედეევმა და მისმა მეგობრებმა ცხინვალში ავტობუსით პატარა ბავშვები წაიყვანეს. ეს ბავშვები ცხინვალის სპორტული სკოლის ბავშვებს უნდა შეხვედროდნენ.

ცნობისათვის, ცხინვალში სპორტული სკოლა თედეევმა დააარსა. ამ სკოლას დღემდე ის პატრონობს.

ინციდენტი, რომელმაც ოსური საზოგადოება მაგრად გაართო, გვიან საღამოს მოხდა. სროლა მაშინ ატყდა, როცა სტუმრები ცხინვალს ტოვებდნენ. ინციდენტთან დაკავშირებით ორი ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, სროლა თედეევმა და მისმა ხალხმა ატეხა. მეორე ვერსიით კი სტუმრებს ცეცხლი კოკოითის სპეცრაზმმა გაუხსნა.

ინციდენტის ამსახველი კადრები ინტერნეტითაც გავრცელდა. კადრში ჩანს, როგორ აქვს გადმოყოფილი მერსედესიდან ხელი ძამბოლატ თედეევს. ის მოწინააღმდეგეებს შუა თითს აჩვენებს, ამის გარდა, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტსა და მთავრობას ოსურ ენაზე აგინებს დედას.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თედეევი პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრება, ამ ინციდენტს პოლიტიკური სარჩული მიეცა. მომხდარი ინციდენტი მოახლოებულ არჩევნებთან დააკავშირა მიხეილ მამიაშვილმა, რომელიც ინციდენტის დროს ასევე იმყოფებოდა ცხინვალში.

მიხეილ მამიაშვილის გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მახარბეკ ხადარცევი, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის პარლამენტის წევრია. როგორც მამიაშვილი ამბობს, დელეგაციაში კიდევ ბევრი ცნობილი მოჭიდავე იმყოფებოდა.

როგორც ჩანს, ეს დელეგაცია მხოლოდ სპორტული არ იყო. არავინ იცის, რატომ, მაგრამ ამ დელეგაციის შემადგენლობაში აღმოჩნდა ანატოლი ბარანკევიჩი. ეს უკანასკნელი სამხრეთ ოსეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი გახლავთ. მას აგვისტოს ომის შემდეგ კოკოითისთან სერიოზული ინციდენტი მოუვიდა და რუსებმა სამსახური ამის გამო შეუცვალეს.

ცხინვალში მომხდარმა ინციდენტმა სამხრეთელ ოსებს კინაღამ ჩრდილოელებთანაც გაუფუჭა საქმე. საქმე ის გახლავთ, რომ დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი სტანისლავ კესაევი.

სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ამბავი კარგა ხანს იქნება სალაპარაკო, თუ, რა თქმა უნდა, ცხინვალში მორიგი აურზაური არ მოხდა.

ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიხეილ მამიაშვილმა. ქართული გვარის მქონე რუსი მოჭიდავე დღეს რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ.




მიხეილ მამიაშვილი კატეგორიულად უარყოფს საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ცნობებს. მისი მტკიცებით, პროვოკაცია კოკოითიმ მოაწყო.

— 18 აპრილს საღამოს საინფორმაციო საშუალებები, ფაქტობრივად, აფეთქდა. ისინი იუწყებოდნენ, თითქოს რუსეთის ნაკრებმა თავისუფალ ჭიდაობაში მთავარ მწვრთნელად თედეევთან ერთად ცხინვალში ნამდვილი დებოში მოაწყო. საინფორმაციო საშუალებებმა ისიც თქვეს, ვითომ ჩვენ არაფხიზელ მდგომარეობაში ვიყავით, — შესჩივლა გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცს“ მამიაშვილმა.

სროლა მათ შეიძლება მართლა არ აუტეხიათ, მაგრამ, ცოტა საეჭვოა, ისინი ცხინვალიდან ფხიზლები წამოსულიყვნენ. სხვა თუ არაფერი, თედეევის მამის დაბადების დღეზე იყვნენ მისული.

როგორც მამიაშვილი ამბობს, ცხინვალში ისინი რამდენიმე მანქანითა და ერთი ავტობუსით ჩავიდნენ. ამ ავტობუსში სპორტული სკოლის ბავშვები იყვნენ, რომლებიც ცხინვალში თანატოლებს უნდა შეხვედროდნენ.

— ვლადიკავკაზიდან ცხინვალამდე ჩასვლას 2 საათი სჭირდება. ჩვენ ამას 6,5 საათი მოვანდომეთ. ეს იმის ბრალი იყო, რომ თითოეული ჩვენგანი ლამის მიკროსკოპით შეამოწმეს. ამისთვის თავიდან არანაირი ყურადღება არ მიგვიქცევია, — ამბობს მამიაშვილი.

მისი განცხადებით, დელეგაციის წევრები ჯერ ცხინვალის სპორტსკოლაში მივიდნენ, სადაც საჩვენებელი შეჯიბრება გაიმართა. ღონისძიების დასრულების შემდეგ ტიტულოვან მოჭიდავეებს ბავშვებთან სურათები გადაუღიათ.

იქიდან წამოსულებმა, როგორც მამიაშვილი ამბობს, გვირგვინებით შეამკეს 2008 აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალი. გვირგვინების დაწყობის შემდეგ „სასტავი“ თედეევების სახლისკენ გაემართა.

ძამბოლატ თედეევი ცხინვალელი გახლავთ და მისი მშობლები დღემდე იქ ცხოვრობენ. თედეევებს კერძო სახლი აქვთ. იმ დღეს ძამბოლატას მამის, ილიას, დაბადების დღე იყო. მას, როგორც მამიაშვილი ამბობს, 70 წელი შეუსრულდა.

— მივედით, რომ ახსაკალისთვის დაბადების დღე მიგველოცა. ჩვენ იქ ორსაათ-ნახევარი დავრჩით, იუბილარს საჩუქრები გადავეცით და წამოვედით. გარეთ უამრავი ადამიანი დაგვხვდა. ბავშვები ავტოგრაფებს გვთხოვდნენ. ამის გამო კიდევ ნახევარი საათი შევყოვნდით, მერე ჩავსხედით მანქანებში და ცხინვალის გასასვლელისკენ გავემართეთ. სამასი მეტრი არც კი გვქონდა გავლილი, როცა გზაჯვარედინზე რამდენიმე მანქანამ ჩვენს კოლონას გზა გადაუჭრა. მანქანებიდან „კამუფლიაჟებში“ გამოწყობილი ნიღბიანი ადამიანები გადმოხტნენ. მათ ავტომატები მხარზე ჰქონდათ გადაკიდებული. უცბად კიდევ გამოჩნდნენ შეიარაღებული პირები. ისინი ორმოცამდე იყვნენ, შეიძლება, ცოტა მეტნიც. მათ ჩვენთვის არანაირი კითხვა არ დაუსვამთ, პრეტენზიები არ გამოუხატავთ, უბრალოდ, ჰაერში დაიწყეს უმისამართოდ სროლა. ასევე არ ჰქონია ადგილი რაიმე ფიზიკურ დაპირისპირებას, — ყვება რუსულ გამოცემასთან საუბარში მამიაშვილი.

რამდენიმეწუთიანი სროლების შემდეგ, მისი თქმით, ისინი მანქანებში ჩასხდნენ და ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით წავიდნენ.

— ჩვენ თან რამდენიმე მანქანა გამოგვყვა. მოგვიწია სამი კორიდორის გავლა, სადაც შეიარაღებული ხალხი იდგა. საინტერესოა ის, რომ როგორც კი გავედით სამხრეთ ოსეთიდან, ყველა ჩვენგანის ტელეფონი ჩაირთო. მე მაშინვე გადავრეკე რუსეთის საკონსულოში და შევატყობინე, რაც მოხდა. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ როგორც კი ჩემი ტელეფონი ჩაირთო, უამრავი ზარი შემოვიდა. მოსკოვიდან მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ვითომ ჩვენ თავს დავესხით სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასა და ომონს. ვლადიკავკაზში ჩავედით თუ არა, მაშინვე სამართალდამცავებთან გამოვცხადდით, გვინდოდა, გვეჩვენებინა, რომ ნორმალურად გვეცვა, პიჯაკებსა და ჰალსტუხებში ვიყავით გამოწყობილი. ასევე გვინდოდა, მათ ენახათ, რომ აბსოლუტურად ფხიზლები ვიყავით, — იხსენებს მამიაშვილი.

პიჯაკებში გამოწყობილი რომ იქნებოდნენ, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ, აი, სიფხიზლეს რაც შეეხება, ეს ცოტა საეჭვოა, რადგანაც ახსაკალი (თედეევის მამა) მათ ისე არ გამოუშვებდა, რამდენიმე ჭიქა არ დაელევინებინა.

მიხეილ მამიაშვილი დარწმუნებულია, რომ ეს პროვოკაცია წინასწარ იყო დაგეგმილი.

— ამ პროვოკაციის მოწყობა საგანგებოდ იყო დაგეგმილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტერნეტით როგორ გავრცელდა ინციდენტის ამსახველი კადრები მომხდარიდან 15 წუთის შემდეგ?! — კითხულობს რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი.

მისი თქმით, ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება. მამიაშვილი ამ ყველაფერს მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს. ის თითქმის დარწმუნებულია, რომ ამ პროვოკაციის უკან კოკოითი დგას.

— სროლა ჩვენ არ აგვიტეხია. არაფერი დაგვიშავებია. დანაშაული რომ ჩაგვედინა, მათ შეეძლოთ, უპრობლემოდ დავეკავებინეთ. ისინი რიცხობრივად ჩვენზე მეტნი იყვნენ, თან — შეიარაღებულები. მათთვის ეს პრობლემა არ იქნებოდა, — ამბობს მამიაშვილი.

ცხინვალში 18 აპრილს მომხდარი ინციდენტი, როგორც ჩანს, ასე მარტივად არ დასრულდება. თედეევების კლანი იოლად არავის არაფერს პატიობს. კოკოითისა და თედეევს კი, პოლიტიკური უთანხმოების გარდა, მტრობისთვის სხვა მიზეზიც აქვთ.

2006 წლის ოქტომბრის დამლევს ვლადიკავკაზის რესტორან „ალანდონში“ ჩაცხრილეს ძამბოლატ თედეევის ძმა, იბრაგიმი. მკვლელი მოკლულის პირადმა მცველებმა ადგილზე ჩაცხრილეს. ის გვარად კოკოევი აღმოჩნდა.

მაშინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეს მკვლელობა კოკოითის მიერ იყო შეკვეთილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იბრაგიმ თედეევი სანაკოევის ადგილზე განიხილებოდა. თუმცა, იმ მომენტისათვის მას უკვე უარი ჰქონდა ნათქვამი საქართველოს ხელისუფლებისთვის.

როგორც ამბობენ, საქართველოს ხელისუფლებას დიმიტრი სანაკოევი სწორედ თედეევებმა გააცნეს. ამის შესახებ განცხადება კოკოითიმ გააკეთა. მისი თქმით, ძამბოლატ თედეევმა სანაკოევი ირაკლი ოქრუაშვილს კიევში, უკრაინის რადის დეპუტატ ელბრუს თედეევის ბინაში შეახვედრა.

იბრაგიმ თედეევის დაკრძალვაზე კოკოითი ვერ მივიდა. მან იქ თავისი მშობლები გააგზავნა. როგორც ამბობენ, მაშინ თედეევმა კოკოითის მშობლებს უთხრა, რომ ის თავისი ძმის გამო შურს იძიებდა.

მას შემდეგ თედეევს ცხინვალში შესვლისას ყოველთვის პრობლემები ექმნება. ცოტა ხნის წინ მას ძვირადღირებული „მერსედესი“ ჩამოართვეს. როგორც თავად ყვება, ის ვლადიკავკაზიდან ცხინვალში მახარბეკ ხადარცევის კუთვნილი მანქანით წავიდა. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე ის გააჩერეს და უთხრეს, რომ მანქანა უნდა ჩამოერთმიათ. კოკოითის სამართალდამცავების თქმით, ეს მანქანა მოპარული იყო.

უფრო მოგვიანებით მამა გაუხდა ცუდად. საჭირო იყო მისი საოპერაციოდ წაყვანა. ძამბოლატს მამა გერმანიაში უნდა წაეყვანა, თუმცა, ის ცხინვალში არ შეუშვეს. ავადმყოფი მამა თედეევმა საქართველოს გავლით წაიყვანა გერმანიაში.

პრეზიდენტობაზე კენჭისყრა თედეევს ჯერ საბოლოოდ არა აქვს გადაწყვეტილი. მას სპორტულ კარიერაში სერიოზული წარმატებები აქვს. რამდენიმე წლის წინ ის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

იყრის თუ არა კენჭს თედეევი, არავინ იცის. სამაგიეროდ, ყველასთვის ცნობილია, რომ კოკოითი პრეზიდენტად სწორედ მან და მისმა ძმამ გაიყვანეს. ეს 2001 წელს მოხდა. მაშინ კოკოითის კონკურენტი ლუდვიგ ჩიბიროვი იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩიბიროვი თედეევების ახლო ნათესავია. მათ ნათესავს კოკოითი არჩიეს.

კოკოითიმაც დააფასა მათი ამაგი. იბრაგიმა რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშნა. მაშინ ერგნეთის ბაზრობა ყვაოდა. როკის გვირაბიდან უამრავი კონტრაბანდული საქონელი შემოდიოდა. ამას თედეევები აკონტროლებდნენ.

რამდენიმე თვეში კოკოითის ძმებთან უთანხმოება მოუვიდა. იბრაგიმ თედეევს თანამდებობა დაატოვებინა. ცოტა ხნით დააპატიმრებინა კიდევაც, რასაც ცხინვალში დიდი გაწევ-გამოწევა მოჰყვა. კოკოითი იძულებული გახდა, დაკავებული გაეთავისუფლებინა. მას შემდეგ მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. მტრობა გრძელდება და, თუ თედეევმა კენჭი იყარა, წინ საინტერესო ამბები გველის.

## კახა კუკავა: თბილისსა და ქუთაისში მომხდარი აფეთქებები მერაბიშვილის მოწყობილია

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რისტული აქტები მაისში მოხდება თბილისში და ეს იქნება ხელისუფლების მიერ დაგეგმილი. სხვათა შორის, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ის აფეთქება, რომელიც თბილისში და ქუთაისში მოხდა, ეს იყო ვანო მერაბიშვილის დავალებით განხორციელებული.

***— როგორ ფიქრობთ, არის იმის შანსი, რომ თუნდაც ნინო ბურჯანაძე დააკავონ?***

— მე პირადად ნინო ბურჯანაძის დაკავებას არ ველოდები იმიტომ, რომ არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება მისგან რაიმე დისკომფორტს მოელის. მე ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ აგორებული ხმებია. ხელისუფლებას ამ ეტაპზე აწყობს უფრო დისკრედიტაცია ნინო ბურჯანაძის, ვიდრე მისი დაპატიმრება და უნდა ითქვას, რომ ეს მაინცდამაინც არ უძნელდება ხოლმე.

***— ოპოზიციონერი ლიდერების დაკავებით ალბათ უფრო გაიმწვავებს საქმეს ხელისუფლება...***

— არ არის ასე. საერთოდ საერთაშორისო პოლიტიკა და მსოფლიო პოლიტიკა ეფუძნება ჩვენს თავში იმ ყალბ წარმოდგენებს, რომელიც ჩვენი ტელევიზიების და სხვადასხვა სახელმძღვანელოებით იქმნება, თითქოს არსებობს საერთაშორისო სამართალი, დემოკრატიული პრინციპები და ასე შემდგომ. არ არსებობს, დაივიწყეთ ყველანაირი საერთაშორისო სამართალი და დემოკრატიული პრინციპები, ასეთი რამ, შემიძლია გითხრათ, როგორც იურისტმა და როგორც პოლიტიკოსმაც, არ არსებობს ბუნებაში. ეს არის პროპაგანდის ნაწილი. ამიტომ ხელისუფლებების შეცვლა, პოლიტიკური ვითარების გართულება საერთაშორისო ასპარეზზე, ეს არის შედეგი არა დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის ან საერთაშორისო სამართლის დარღვევის, არამედ ცალკეულ სახელმწიფოთა შორის არსებული კონფლიქტების. თუ სააკაშვილს ვითარება გაურთულდება, ეს გაურთულდება იმის გამო, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს წამყვანი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას. თორემ ის, რომ სააკაშვილი საერთაშორისო დემოკრატიულ უფლებებს უგულებელყოფს და ამის გამო მისი ვითარება გამწვავდება, ნუ დაიჯერებთ ამას. იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძეს თუ დააპატიმრებენ, ის იქნება 61-ე პოლიტიკური პატიმარი, მაგრამ წინა 60-ის გამო სააკაშვილს ვითარება არ გართულებია.

## კლინტონის განცხადებამ მოლოდინი არ უნდა გააჩინოს



„ქართული პარტია“ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებას გამოეხმაურა და მოუწოდა ამერიკულ მხარეს, ამოვიდნენ იმ ილუზიიდან, რასაც არსებულ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში მათი მხრიდან სტანდარტული ფორმატების გამოყენება ჰქვია.

როგორც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა, ეროსი კიწმარიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ქართული პარტია“ მიიჩნევს, რომ საუბარი უნდა იყოს არა საარჩევნო სფეროში კანონის გაუმჯობესებაზე, არამედ საქართველოში საარჩევნო გარემოს მთლიანად შეცვლაზე, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში არსებული ხელისუფლება კოსმეტიკური ცვლილებებით შეეცდება არსებობის გახანგრძლივებას.

— თუ საუბარი მიდის არჩევნებზე, გვინდა დავაზუსტოთ, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს არა 2012 წელს, არამედ 2011 წელს, კონსტიტუციის საფუძველზე, — აღნიშნა კიწმარიშვილმა.

მისივე აზრით, საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსი, ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ვერ აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას თავის ცენტრალურ ოფისს, რადგან მათ აქვთ ურთიერთობა არსებული ხელისუფლებისთვის კომფორტულ პოლიტიკურ ძალებთან და კომფორტულ სამოქალაქო საზოგადოებასთან.

მისი განცხადებით, „ქართულ პარტიას“ არ სურს, კლინტონის განცხადებით ქართულ საზოგადოებაში რაიმე მოლოდინები გაჩნდეს ვინმეს მხრიდან საქართველოში პროცესებზე სერიოზული ზეგავლენის თაობაზე.

რაც შეეხება კლინტონის განცხადებას, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ბერლინში, საქართველოს და ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე განაცხადა: "ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს, განსაკუთრებით საარჩევნო კანონმდებლობის სფეროში რეფორმების განხორციელებაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების სრულყოფილად დემოკრატიული გადაცემა მომდევნო 2012 და 2013 წლების არჩევნებში".

**ინტერპრესნიუსი**

# ბალაფშს სამკურნალო არაფერი სჭირს!

ნანა მიშელაშვილი

სერგეი ბალაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი რამდენიმე დღეა მედიისა და პოლიტიკოსების მსჯელობის თემაა. ბალაფშის თურქეთში ვიზიტთან დაკავშირებით ორი ვერსია გავრცელდა: პირველი — სეპარატისტთა ლიდერი სამკურნალოდ იყო და მეორე — სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა და თანამდებობის პირებს შეხვდა.



პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია სერგეი ბალაფშის თურქეთში ვიზიტმა აღაშფოთა. დავითაიას ინფორმაციით, ბალაფში თურქეთში სამკურნალოდ კი არა, შეხვედრებისთვის ჩავიდა.

— აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ხელმძღვანელი, ერთ-ერთი კრიმინალი სერგეი ბალაფში თურქეთში იყო და კეთდება განცხადება, თითქოს თურქეთის მხარემ ის სამკურნალოდ მიიღო. მინდა ვთხოვო საგარეო საქმეთა სამინისტროს, მკაცრად დააყენოს ეს საკითხი, არანაირი მკურნალობა არ იყო, თურქეთში იყო შეხვედრები, მიმოსვლები. თურქეთი არის ჩვენი პარტნიორი ქვეყანა, ძალიან მკაცრად უნდა დავაყენოთ ეს საკითხი, ცინიკური განცხადებები მკურნალობასთან დაკავშირებით არ უნდა კეთდებოდეს, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა მეორე დამნაშავეზე — სერგეი შამბაზეც ისაუბრა, რომელიც ღიად აკეთებს განცხადებებს სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით.

— სერგეი შამბა აკეთებს განცხადებას, რომ ის აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოურ კომპანიებთან წიაღისეულის გატანაზე აფხაზეთიდან და სპეციალური კვოტის მინიჭებაზე, რაც დანაშაულია, რადგან ეს არის საქართველოს კუთვნილი წიაღისეული, — აღნიშნა დავითაიამ.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვა, მიმართოს ყველა იმ ქვეყანას, რომელთა კერძო კომპანიების წარმომადგენლები აფხაზეთში გარკვეული ბიზნეს-ინტერესებისთვის ჩადიან. მისი თქმით, მართალია ეს ქვეყნები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს არ აღიარებენ, მაგრამ კერძო კომპანიების დონეზე საკმაოდ არაორდინარულ ვიზიტებს მაინც აქვს ადგილი.

— უნდა მოხდეს ელჩების დაბარება და მკაცრად განსაზღვრა თუ ქვეყნები არ აღიარებენ, ბანდიტურ წარმონაქმნს, რომელიც იქ არის, მათმა კერძო კომპანიებმა თავი დაანებონ იქ სიარულს. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ოფიციალურად დაიწყოს გამოძიება, რადგან გამოძიებაში მყოფი კომპანიები ვერ გაიტანენ იმ წიაღისეულს, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

ვიცე-სპიკერს მიაჩნია, რომ ამ საკითხებზე მკაცრი მიდგომები არა მხოლოდ საგარეო საქმეთა, არამედ იუსტიციის სამინისტრომაც უნდა გამოიჩინოს.

დავითაიას განცხადების საოქმო ჩანაწერი პარლამენტის სხდომის წამყვანმა საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაგირებისთვის გადასცა.

თურქეთში პოლიტიკური კრიმინალების ანშლაგებით ჩასვლა „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამაც გააპროტესტა.

— დიდი ყურადღება მივაქციოთ, რატომ გააქტიურდნენ თურქები ასე არასასიამოვნოდ აფხაზეთის მიმართულებით? — იკითხა ბაღათურიამ.

## შეფიცულები აჭარაშიც გამოჩნდნენ

გუშინ ბათუმში „სახალხო წარმომადგენლობითი კრების" აჭარის ახალგაზრდული და აჭარის „შეფიცულთა" ორგანიზაციები დაფუძნდა.

როგორც „მედიანიუსს" „სახალხო კრებიდან" აცნობეს, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრები, აგრეთვე „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე და პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი.

აჭარის რეგიონული ორგანიზაციების დამფუძნებელი ღონისძიება ბათუმის თეატრთან, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან გაიმართა. ფიცის დადების ცერემონიას 500-მდე ადამიანი ესწრებოდა.

სახალხო კრების აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად არჩეულია დავით ლორია, ხოლო „შეფიცულებს" აჭარაში გოჩა მუხაშავრია უხელმძღვანელებს.

მედიანიუსი

# უმრავლესობა ბალათურიას დემაგოგობაში ადანაშაულებს

ნანა მიშელაშვილი



საპარლამენტო უმრავლესობამ ჯონდი ბაღათურიას გამოსვლა დაუწუნა და კომუნისტურად შეაფასა.

ჯონდი ბაღათურიას განცხადება მმართველი ფრაქციის წევრებს არ მოეწონათ. ბაღათურიას დემაგოგობის გამოც უსაყვედურეს. საკითხი საძოვრების გაყიდვის თემას შეეხება, რაზეც უმრავლესობა და ბაღათურია განსხვავებულ განცხადებებს აკეთებენ.

„ქართული დასის" ლიდერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია სოფელ ზედღულეთში საძოვრების უკანონოდ გაყიდვაში დამნაშავე პირების გამოვლენას და მათ დასჯას მოითხოვს.

ბაღათურიამ საკუთარ კოლეგებს შეკითხვითაც მიმართა: შეიძლება გლეხს საძოვარი გაუყიდო და საშიმშილოდ გაწირო? გლეხს საძოვარი გაუყიდო და სხვა ქვეყნის მოქალაქეს მიჰყიდო?

— ამას მონღოლები აკეთებდნენ, მონღოლებიც ამას ყოველთვის არ აკეთებდნენ, როდესაც უნდოდათ გლეხისგან ბეგარა და გადასახადი მიეღოთ, ამას არ უკეთებდნენ, როდესაც უნდოდათ ქართველი გაეწყვიტათ, ამას მაშინ აკეთებდნენ. ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს? — აღნიშნა ბაღათურიამ.

„ქართული დასის" ლიდერის შეფასებით, საბოტაჟია და კანონდარღვევით იქნა საძოვარი გაყიდული, რომელიც უნდა ჩამოერთვათ, რადგან ამ ზონაში გლეხების მიტოვება და საშიმშილოდ გაწირვა სამშობლოს გაყიდვაა.

„ქართული დასის" ლიდერი კიდევ ერთ პრობლემაზე საუბრობს. კერძოდ, ბაღათურიას აზრით, კონფლიქტის მიმდებარე სოფლები წელსაც უწყლოდ დარჩენის წინაშეა. ჯონდი ბაღათურიას განაცხადებით, კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში უმძიმესი მდგომარეობაა შექმნილი, იქ არიან ბავშვები და მოხუცები, რომლებიც შიმშილის ზღვარზე არიან. მისი თქმით, ამ სოფლების წყლით მომარაგებაზე ვინ არ ჩაერია, გუბერნატორიც აქტიურობდა და პარლამენტის თავმჯდომარეც, პრეზიდენტმაც გააკეთა განცხადება, მაგრამ უშედეგოდ.

— როგორც ჩანს, კონფლიქტისპირა სოფლები წელსაც უწყლოდ დარჩებიან და ისევ შიმშილი ემუქრებათ, — განაცხადა ბაღათურიამ. მისივე თქმით, ამ სოფლებს თითო-თითო ტომარა ფქვილი და შეშა დაურიგეს და მთავრობამ ჩათვალა, რომ ამით ვალი მოიხადა.

— მინდა ამ დარბაზს ვკითხო, სადამდე შეიძლება ვუყუროთ მთავრობის წევრების კორუმპირებულ მოქმედებას, რომელიც არა მხოლოდ კორუფცია და უსინდისობაა, არამედ სამშობლოს ღალატის ტოლფასია, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ექნება თუ არა ლიახვის ხეობას წყალი? — ამ საკითხის გარკვევას ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან მოითხოვს.

გიორგი ახვლედიანის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან ათასობით ადამიანი ელოდება პასუხს, ექნებათ თუ არა სარწყავი წყალი. მისივე თქმით, ლიახვის სოფლებში სტაგნაციაა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, რადგან მათ არ იციან იმ არხებში, რაც მათ სოფლამდე მიდის, წყალი ჩავა თუ არა.

ახვლედიანის თქმით, ეს ადამიანები სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან კონკრეტულ პასუხს აპრილის ბოლომდე ელოდებიან, რათა ხარჯი ტყუილად არ გაწიონ.

— მერე დასრულებული იქნება ეს პროცესი და მთავრობის საუბარი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე კიდევ ერთ ჩაილურის წყალს დალევს, — აღნიშნა ახვლედიანმა.

გუშინ უმრავლესობამ ოპოზიციის გამოსვლებს პასუხი გასცა. ძირითადი ადრესატი ჯონდი ბაღათურია იყო. მას შემდეგ, რაც ბაღათურიამ განცხადება გააკეთა, დარბაზი დატოვა. ბაღათურიას უმრავლესობის ლიდერმა გასცა პასუხი.

— სამწუხაროდ, წესად დამკვიდრდა, თავის გამოსვლას დაასრულებენ და დარბაზს ტოვებენ. არ აინტერესებთ არც არგუმენტები და არც საკუთარი გამოსვლების შინაარსი, ოღონდაც დაფიქსირდნენ ეკრანზე, ტელევიზორში რამდენიმე წუთით გაიელვონ, რომ როგორ ხმალამოღებულები იბრძვიან ხალხის უფლებების დასაცავად, — აღნიშნა პეტრე ცისკარიშვილმა ოპოზიციონერი დეპუტატების მისამართით.

უმრავლესობის ლიდერმა ჯონდი ბაღათურიას განცხადებას დემაგოგია უწოდა.

— სანამ საქართველოს, სამშობლოს ღალატზე ისაუბრებთ, ბატონო ჯონდი, გთხოვთ, გადაამოწეთ ფაქტები და გაერკვიეთ, რა ხდება იმ სოფელში, — მიმართა ბაღათურიას ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერის თქმით, სოფელ ზედღულეთის მოსახლეობა უმიწოდ კი არ დარჩა, არამედ დასაქმების შანსი გაუჩნდა.

— ამ სოფლიდან რეალურად წამოვა პროდუქცია, რომელიც გაიყიდება საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სოფლის 350 კომლს შემოსავალი გაუჩნდება, — განაცხადა ცისკარიშვილმა.

ჯონდი ბაღათურიას უმრავლესობის წევრმა კობა ხაბაზმაც უპასუხა. მან ბაღათურიას გამოსვლა კომუნისტურ გამოსვლად შეაფასა. ბაღათურიას კრიტიკულმა განცხადებებმა კობა ხაბაზს კომუნისტური ლოზუნგი — „მიწა გლეხებს" გაახსენა.

— ეს პრობლემა მოგვარებულია. შიდა ქართლის გუბერნატორი შეხვდა მოსახლეობასა და თავად ფერმერს, რომელმაც ეს მიწა შეიძინა და რომელიც, სხვათა შორის, შეძენილ ტერიტორიაზე ამოქმედებულ ფერმერულ მეურნეობაში სწორედ ამ სოფლის მოსახლეობის დასაქმებას აპირებს, — აღნიშნა ხაბაზმა.

# ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო ვეტერანები ბოდიშს იხდიან

თეა მარხვაი ე



ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო საქართველოში ნერვიულობა გრძელდება. განსაკუთრებით ოპოზიცია და ექსპერტები აქტიურობენ. აღსანიშნავია, რომ ეს გააქტიურება მას შემდეგ დაიწყო რაც ისრაელმა საკადრისი პასუხი გაგვცა.

ებრაელებმა საქართველო ორჯერ შეიყვანეს საშიში ქვეყნების სიაში. ქვეყანაში არ შეუშვეს ჩვენი პარლამენტის სპიკერი და ეკონომიკის მინისტრი. მერე გავარკვიეთ, რომ მარტის თვეში ისრაელს აფხაზები ესტუმრნენ.

წინა კვირაში კი ებრაელი ბიზნესმენები ჩავიდნენ აფხაზეთში. გამოცემა „იზრუსის" ცნობით, ისრაელმა აფხაზებს შესაძლოა სამხედრო ტექნოლოგიები მიაწოდოს.

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს არის ისრაელის საპასუხო ქმედება ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო. ოპოზიციამ მათი გათავისუფლება რამდენჯერმე მოითხოვა. ხელისუფლება ოპოზიციის განცხადებების გამო შეწუხებულია. მათ აინტერესებს, რატომ იცავს ოპოზიცია თაღლითებს. ამ კუთხით ხელისუფლება თავდაცვის ყოფილ მინისტრ გია ყარყარაშვილის განცხადების გამოც გამოთქვამს გაკვირვებას.

საქართველოს ლეგიონის წარმომადგენლებმა და გია ყარყარაშვილმა გუშინებრაელი ბიზნესმენების დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გაავცელეს. მათ ისრაელს აღნიშნული ფაქტის გამო ბოდიში მოუხადეს.

— დიდი ხანია, რაც ებრაელ ბიზნესმენთა დაკავების სამართლებრივმა დავამ პოლიტიკური ელფერი შეიძინა და საქართველო-ისრაელს შორის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გამწვავების საფუძვლად იქცა. ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის და საგარეო საქმეთა მინისტრის თხოვნის უგულველყოფას ებრაელ ბიზნესმენთა განთავისუფლების შესახებ პასუხად ებრაელთა დელეგაციების სტუმრობა მოჰყვა აფხაზეთში. საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი უპასუხისმგებლო პოლიტიკით მეგობარი ქვეყანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე იდგა, 1992 წლიდან გაანაწყენა. ყველაზე თავისუფლების მოყვარე ერთან ურთიერთობა გააფუჭა და ამით ქართველ და ებრაელ ხალხს 26 საუკუნოვან ურთიერთობას ჩრდილი მიაყენა. ჩვენ საქართველოს ლეგიონი ვთვლით, რომ არც ერთი და არც 10 მილიონი არ ღირს ორ მეგობარ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გამწვავებად. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არც შეცდომის აღიარება არის სათაკილო და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ განთავისუფლდნენ დაპატიმრებული ებრაელი ბიზნესმენები, სანამ ხელისუფლებას საკუთარი თავიც არ დაუღუპავს და ქვეყანაც, — აცხადებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

მისი თქმით, ჩვენ იმ მიზნით უნდა ვიცხოვროთ, რომ მტერი მოყვარედ ვაქციოთ, მოწინააღმდეგე მოკავშირედ.

— ხელისუფლება კი, საკუთარი უპასუხისმგებლობით მეგობარსა და მოკავშირეს, ერთ-ერთ ყველაზე თავმოყვარე ერს მოწინააღმდეგედ აქცევს. ჩვენ თავისუფლებისთვის და ერთიანობისთვის ბრძოლაში ისრაელის ეროვნული თავმოყვარეობის სიმაღლეზე გვინდა სწორება და ამას არ გავცვლით სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მობრძანებული ტურისტებისგან მიღებულ შემოსავლებზე. ბოდიშითა და თხოვნით მივმართავთ ისრაელის ყველა მოქალაქეს, მის ხელისუფლებას, საელჩოს. მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა არ არის საქართველო და არც ქართველი ხალხი აზრის გამომხატველია. ჩვენი ქართველებს გვიყვარს ებრაელი ხალხი და კიდევ 26 საუკუნე გვსურს მასთან მეგობრობა. ვოცნებობთ, როდის გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ერში მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებს. თქვენივე დახმარებით ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს შორის ჩატეხილ ხიდს გაამთელებს. მორალურად უხერხულობას ვგრძნობთ და ავღნიშნავთ დღევანდელი დღე არ იქნებოდა, რომ ბრმად არ გვერწმუნა ხელისუფლების მიერ შეთხზული ზღაპარი და სასურველი იქნებოდა, ისრაელის მთავრობას და ებრაელ ბიზნესმენებს ასეთივე სოლიდარობა გამოეხატათ მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება გარდაცვლილ ბადრი პატარკაციშვილის სახელსა და ღირსებას დაუსაბუთებლად და დაუმსახურებლად მიწასთან ასწორებდა. მის ოჯახს საქვეყნოდ ძარცვავდა და ქონებას იტაცებდა, — აღნიშნა ყარყარაშვილმა.

# ფილიპ გორდონი: ნატო საქართველოსთან ყოველწლიურ გეგმაზე მუშაობს

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოდგილის ფილიპ გორდონის განცხადებით, ნატო საქართველოსთან ყოველწლიურ ეროვნულ გეგმაზე მუშაობს, რომელმაც საქართველო, როგორც ალიანსში გაწევრიანების კანდიდატი, უფრო ძლიერი უნდა გახადოს.

სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენაციაზე ფილიპ გორდონმა ნატოს მინისტერიალსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მიერ ბერლინში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრა.

ფილიპ გორდონის თქმით, ნატოს წევრი ქვეყნების მინისტრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება, მხარი დაუჭირონ საქართველოს მისწრაფებას ნატოში და საქართველოს, როგორც კანდიდატი ქვეყნის გაძლიერების პროცესს.

— ნატო-საქართველოს კომისია შეიკრიბა და მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დაუჭირეს მხარი საქართველოს ნატოს წევრობისკენ მისწრაფებას, რეფორმების მომავალშიც გაგრძელებას და გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. ვერ დავასახელებ გაწევრიანების კონკრეტულ ვადას და განრიგს, თუმცა გეტყვით, რომ მინისტრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება, მხარი დაუჭირონ საქართველოს მისწრაფებას ნატოში და განაგრძონ ევროატლანტიკური სტუქტურებისთვის საქართველოს, როგორც კანდიდატის გაძლიერების პროცესი. ალიანსი მუშაობს საქართველოსთან ყოველწლიურ ეროვნულ გეგმაზე და სხვა მექანიზმებზე, რომლებმაც საქართველო უფრო ძლიერი კანდიდატი უნდა გახადონ. ასევე მინისტრებმა გამოხატეს კმაყოფილება „აისაფის" მისიაში საქართველოს წვლილის შეტანისათვის, — აღნიშნა პილიპ გორდონმა.

მედიანიუსი

# დიდი ქართველების შესახებ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ

ეკა ირემაშვილი

**25 აპრილიდან ჟურნალი „გუმბათი“ და „საოჯახო ბიბლიოთეკა“ ახალ პროექტს იწყებენ, რომელსაც „დიდი ქართველები“ ეწოდება. პირველი ექვთიმე თაყაიშვილზეა. იგი თავისი თავდაუზოგავი მოღვაწეობის გამო ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მას ექვთიმე აღმსარებელი ეწოდა. თითოეული ტომი ჟურნალ „გუმბათთან“ ერთად გაიყიდება და მისი ფასი 8 ლარია.**

„ახალი თაობა“ დაინტერესდა, რამდენად საჭიროა ჟურნალ „გუმბათის“ მიერ წამოწყებული მსგავსი პროექტი, წაადგება თუ არა ერის სულიერ განათლებას წიგნების სერია „დიდი ქართველები“. ვის ისურვებდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები თუ ხელოვანები ამ პროექტის ფარგლებში, „ახალმა თაობამ“ ეს ყველაფერი მათთან პირადად საუბრისას გაარკვია.

**ამირან შალიკაშვილი, პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელი:**



— ძალიან კარგი საქმე დაუწყია ჟურნალ „გუმბათს“. ნებისმიერი ქართველის შესახებ გამოცემულ საინტერესო წიგნს მივესალმები. ახლა გამოდის წიგნი „დიდი ქართველები“, სადაც შეყვანილი ვართ სუხიშვილები, ზუბალაშვილები და შალიკაშვილები. იქ ამ სამი გვარის წარმომადგენელთა შესახებ ბევრი რამ წერია.

***— თქვენთვის ვინ არის გამორჩეული და დიდი ქართველი?***

— ძალიან რთულია ამაზე ლაპარაკი, იმიტომ რომ, ერთი რომ ვთქვა, მეორე მომდევს აზრად და, მეორეს რომ ვიტყვი, მესამე მომდევს. რანაირად შეიძლება, ილია ჭავჭავაძე ვთქვა და აკაკი წერეთელი არ ვახსენო, თუკი აკაკის ვიტყვი, განა შესაძლებელია, ვაჟა არ დავასახელო? ეს გამორიცხულია. ამ ყველაფერს კი, არ დაგვავიწყდეს, წინ უსწრებს დიდი შოთა რუსთაველი, რომელსაც გვერდს ვერანაირად ავუვლი. მე, პოეზიის თვალსაზრისით, რუსთაველის შემდეგ ვაჟას თაყვანისმცემელი ვარ, სულ ვკითხულობ და სულიერი სამყარო მაკავშირებს მასთან და მის პოეზიასთან.

***— თეატრალურ სამყაროში ვინ არის თქვენთვის ყველაზე დიდი?***

— მხოლოდდამხოლოდ კოტე მარჯანიშვილი, მეტი არავინ.

**მარიკა ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი:**

— ჩემთვის ნებისმიერი კარგი და საინტერესო წიგნის გამოცემა მხოლოდ მისასალმებელია. მიხარია, რომ ბოლო დროს ამდენი წიგნის გამოცემა დაიწყო. ჟურნალ „გუმბათს“ ვუსურვებ წარმატებებსა და მკითხველის სიმრავლეს. რაც შეეხება პროექტს „დიდი ქართველები“, ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა. ექვთიმე თაყაიშვილი ნამდვილად კარგად შეგირჩევიათ, იმიტომ რომ მან უდიდესი ღვაწლი დასდო ქართველ საზოგადოებას, თავის სამშობლოს.

***— თქვენ თუ გყავთ გამორჩეული ქართველი?***

— საბედნიეროდ, ძალიან ბევრი გამორჩეული და დიდი ქართველი გვყავდა. მე, როგორც ისტორიკოსი, უფრო მეფეებს დავასახელებ. ფარსმან მეფე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, თამარი, დავით აღმაშენებელი. დიდი ქართველია უდავოდ ილია ჭავჭავაძე. რაც შეეხება ჟურნალ „გუმბათის“ პირველ ტომს, ექვთიმე თაყაიშვილის საქმიანობა ნამდვილად ფასდაუდებელია. ბევრს არ შეუძლია, ასეთ ცდუნებას გაუძლოს, ასეთ სიღატაკეში იცხოვროს და თავის სამშობლოს უნიკალური საგანძური შეუნახოს. ასეთ ადამიანებზე არა მარტო სიამოვნებით წავიკითხავდი, დავწერდი კიდეც.



**რუსლან მიქაბერიძე, მსახიობი:**

— ჟურნალ „გუმბათს“ ნამდვილად კარგი საქმე დაუწყია, მაგრამ ჩემი რჩევა არ გამოგადგებათ.

***— რატომ?***

— არ ვიცი, ასე მგონია. პრეტენზიულია, ვინმეზე რამე რომ ვთქვა.

***— თქვენ არ გყავთ გამორჩეული ქართველი?***

— ჩემთვის იოთამ ზედგენიძეა დიდი და კარგი ქართველი. თუმცა, უამრავის დასახელება შეიძლება. ყველაფრის მიუხედავად, გამორჩეულად მიყვარს იოთამ ზედგენიძე. ის წამებული ადამიანია, რატომღაც გამორჩეულად მიყვარს, იმიტომ რომ სიმამაცის სახეა, რომელიც აფექტში კეთდება, თვითონ აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ და მინახავს, რომ ზოგჯერ არამამაციც გამამაცდება ხოლმე, თუმცა შეგნებული, წინასწარ მოფიქრებული თავგანწირვა სულ სხვაა. ეს უიშვიათესი, ერთეულების ხვედრია. როცა მან მეფე ვერ დაარწმუნა, რომ ღალატობდნენ და მოკვლას უპირებდნენ, მე დავწვები თქვენს სარეცელზეო და ასეც მოიქცა. ის მართლაც ხმლებით აკუწეს. ეს არის უმაღლესი თავგანწირვა სარწმუნოებისა და მეფისთვის, ამიტომ გამორჩეულად მომწონს, თორემ, საბედნიეროდ, საქართველოს ისტორიაში იმდენი გამორჩეული და დიდი ქართველია, ვინ მოთვლის მათ.

***— დღეს წიგნის კითხვა რამდენად მნიშვნელოვანია?***

— ის, რომ დღეს წიგნი შეცვალა კომპიუტერმა, საშინელებაა. ეს არის სატანური საქმიანობა, რომელიც იგეგმება გარედან. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, ერის მოკვლა თუ გინდა, დაავიწყე წარსული და ის მოკვდებაო. ერის წარსულის ცოდნა კომპიუტერში კონსპექტის სახით მოწოდებული ინფორმაციიდან შეუძლებელია, ამიტომ ნებისმიერმა ქართველმა უნდა წაიკითხოს თავისი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა, გაივსოს მისი ზღაპრებით, მოთხრობებით, ლეგენდებით, ლექსებით, ჰანგებით, მისი ფოლკლორით და მაშინ სრულფასოვანი ქართველი იქნება. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელზეც პირველი ტომი გამოიცემა, ამბობდა, ისტორია კულტურაა, რომელიც ამ ხალხმა შექმნა და ამ კულტურის გარეშე ადამიანი პირუტყვი და ნადირიაო. ამიტომ, ვიკითხოთ წიგნები, რადგან მას ვერაფერი ვერასოდეს ვერ შეცვლის. წიგნთან ურთიერთობა ავტორის ცოცხალ სულთან ურთიერთობაა. კომპიუტერში უნდა მოიპოვო ინფორმაცია მათემატიკაზე, ბიოლოგიაზე. ის დამხმარე საშუალება უნდა იყოს. განა შეიძლება, პოეზიას კომპიუტერის საშუალებით ეზიარო? ამიტომ დავფიქრდეთ და ნუ გადავდებთ გვერდით წიგნებს. გილოცავთ წინასწარ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ბევრი ქრისტიანული და ჩვენი ახალგაზრდობის წაღმა წამყვანობის წერილი დაგეწეროთ.

***კირა ანდრონიკაშვილი, მსახიობი:***

— მივესალმები ჟურნალ „გუმბათის“ ახალ და უნიკალურ წამოწყებას. „დიდი ქართველები“ — სათაურიც უკვე საკმაოდ კარგად ჟღერს. ასეთი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია. არ შეიძლება, სულ ეკითხებოდე ადამიანს, რა გაცვია, რას ჭამ, სად გძინავსო. რეკლამა, ალბათ, ყველას უნდა, მაგრამ ადამიანს სულიერება უფრო სჭირდება. მიყვარს წიგნები, განსაკუთრებით კი — ქართველებზე გამოცემული. ექვთიმე თაყაიშვილი უნიკალური პიროვნება იყო. სხვათა შორის, სანამ მას მთაწმინდის პანთეონში გადაასვენებდნენ, მის საფლავზე ყოველთვის დავდიოდი და ყვავილებს ვაწყობდი, სულ ვიხსენიებდი, სანამ წმინდანად შერაცხავდნენ. ერს როცა ჰყავს ექვთიმე თაყაიშვილი, ეს უდიდესი ბედნიერებაა. მჯერა, რომ მისი სული ჩვენთვის ყოველთვის ილოცებს. როცა ადამიანებს ამხელა ღვაწლი აქვთ სამშობლოს წინაშე, ისინი აუცილებლად დაფასებული უნდა იყვნენ. მინდა, მადლობა ვუთხრა ჟურნალ „გუმბათს“ ასეთი საინტერესო პროექტისთვის. გაგიკვირდებათ და ჩემთვის დიდი ქართველი ექვთიმე თაყაიშვილია.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ უდიდესი მოთმინება და სიყვარული ჰქონდა თავისი ერისა. მას ბოლოს პატარა თხა ჰყავდა და მის რძეს სვამდა. სასწაულები გადაიტანა იმისთვის, რომ ჩვენი საგანძური გადაერჩინა.

***— კიდევ ვისზე ისურვებდით მსგავსი წიგნის გამოცემას?***

— ალექსანდრე ბატონიშვილი შვედების ომში დაიღუპა, არჩილ მეფე, თეიმურაზი, დავით გურამიშვილი — ეს ადამიანები ჩემთვის ძალიან საინტერესონი არიან. ძალიან მინდა, გადახვეწილ ქართველებზე წიგნი დაწეროს ვინმემ. ჩემმა მამიდაშვილმა გადახვეწილ ქართველებზე ჩაატარა კვლევა და წიგნიც გამოსცა, მაგრამ ეს რუსულ ენაზეა დაწერილი. ჩემთვის უდიდესი ქართველია გრიგოლ ფერაძე, რომელმაც სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა და გაზის კამერაში სხვის მაგივრად შევიდა. ჩვენმა პატრიარქმა კირიონ მეორემ რეები გადაიტანა? ეს ყველაფერი არ უნდა დაგვავიწყდეს. დავუბრუნდეთ წიგნებს, კარგი მაგალითი უნდა მივცეთ ჩვენს ახალგაზრდებს, რომ იცოდნენ ჩვენი წინაპრების კარგი საქმეების შესახებ და არ დაავიწყდეთ, რომ მათი ლოცვა გადაგვარჩენს.

**კახა ცაბაძე, კომპოზიტორი:**

— ბედნიერი ერი ვართ, რომ ამდენი გამორჩეული და დიდი ქართველი გვყავდა. ჩემი პროფესიული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ მუსიკას ბევრი გენიოსი ჰყავს. თითოეულმა მათგანმა წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართულ სულიერებას, დაწყებული ფალიაშვილით, დამთავრებული გოგი ცაბაძით.

***— ვის გამოარჩევდით?***

— ასე გამორჩევა მიჭირს, მაგრამ, ალბათ, უფრო მაინც ზაქარია ფალიაშვილს დავასახელებდი. მისი „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ შეუდარებელია. პროფესიული მუსიკისა და სულიერების თვალსაზრისით ფალიაშვილის შემოქმედება გენიალურია. ჩემთვის წიგნი შეუცვლელია. მას კომპიუტერი ვერასოდეს შემიცვლის. კომპიუტერით რაღაცები გაიოლდა, მაგრამ სიღრმისეული აღქმა ჩემთვის მაინც წიგნიდან მოდის. წიგნით სულ სხვანაირად ვაანალიზებ ყველაფერს, ამიტომ ნებისმიერი საინტერესო წიგნის გამოცემას მხოლოდდამხოლოდ მივესალმები.



**სლავა ნათენაძე, მსახიობი:**

— მიყვარს წიგნები, თან, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ბევრი კითხვა მიწევს. XXI საუკუნემ მოიტანა კომპიუტერის გააქტიურება, თუმცა, ჩემთვის წიგნი ყოველთვის პრიორიტეტულია. საინტერესო წიგნის კითხვას რა სჯობია!

***— „გუმბათის“ ახალი პროექტი მოგწონთ?***

— ნამდვილად, რა აქვს დასაწუნი? წიგნების გამოცემას რა სჯობია?! წიგნი საოცრებაა, რომელიც თავის სამყაროში გითრევს. ჟურნალ „გუმბათის“ ახალი პროექტი, „დიდი ქართველები“, კარგი წამოწყებაა. იმედი მაქვს, მასში ყველა ის ადამიანი შევა, რომლებმაც ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს.

***— ვინ მიგაჩნიათ დიდ ქართველად?***

— დავით აღმაშენებელი. ის იყო მეფე, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. თუ საქართველო რაიმედ ღირდა და რამე სერიოზულს წარმოადგენდა, მხოლოდ — მისი მეფობის დროს. თუმცა, ვინაიდან ჩემი სფერო ცოტა სხვაა, შემეძლო, სხვა ვინმეც მეთქვა, მაგრამ მაინც დავით აღმაშენებელი ყველაზე დიდ ქართველად მიმაჩნია.

**ნუნუ გაბუნია, კომპოზიტორი:**

— გამიხარდება, თუკი „გუმბათი“ „დიდი ქართველების“ სახით ყველა იმ ადამიანზეგამოსცემს წიგნს, რომლებმაც ჩვენი ქვეყნისთვის დიდი შრომა გასწიეს. წიგნი უნდა იკითხოს ყველამ. ეს აუცილებელია. ის გამზადებული მასალა, რომელსაც ახალგაზრდობა უყურებს, სულ სხვაა. ამ დროს აღარ გჭირდება აზროვნება და განსხვავებული ხედვა. წიგნს რომ კითხულობ, შენი წარმოსახვით ხედავ გმირებს და ეს კარგია.

**— თქვენთვის ვინ არის დიდი ქართველი?**

— პროფესიით კომპოზიტორი ვარ, ამიტომ ჩემთვის დიდი ქართველი ზაქარია ფალიაშვილია, მომღერლებში — ვანო სარაჯიშვილი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი გახლდათ. თუმცა, დავით აღმაშენებელი ისტორიული კუთხით უდიდესი და შეუდარებელია. არ უნდა დაგვავიწყდეს თამარ მეფე, შოთა რუსთაველი.

**ნოდარ ანდღულაძე, მომღერალი, დრამატული ტენორი:**

— მიყვარს წიგნები. როცა დრო მაქვს, ყოველთვის ვკითხულობ. ბოლო დროს ბევრი წიგნი გამოდის, რაც კარგია. „გუმბათიც“ კარგ საქმეს აკეთებს, როცა ასეთ საინტერესო პროექტს იწყებს. დღეს ახალგაზრდობის უმეტესობა კომპიუტერთან ზის, რაც არ არის სწორი. კომპიუტერი მხოლოდ პრაქტიკული საშუალება უნდა იყოს და შემეცნების არა ძირითადი წყარო. მან წიგნი არ უნდა შეცვალოს.

***— ვინ მიგაჩნიათ დიდ ქართველად?***

— ვაჟა-ფშაველა, იმიტომ რომ ბუნების სიბრძნეა მასში.

***— თქვენს პროფესიაში?***

— ვახტანგ ჭაბუკიანი — ის მსოფლიოსა და ქართულ საბალეტო სივრცეში შეუდარებელი და ყველასგან გამორჩეულია. იუნესკომ მისი 100 წლის იუბილე აღნიშნა, რაც ნამდვილად დაიმსახურა.

**ჯანო ბაგრატიონი, მომღერალი, სპორტსმენი:**



— ძალიან კარგია, რომ „გუმბათმა“ ასეთი წიგნების გამოცემა დაიწყო. წიგნი სულ სხვაა. მას ვერაფერი შეცვლის. ექვთიმე თაყაიშვილი ჩემთვისაც გამორჩეული ადამიანია. მასზე წიგნს სიამოვნებით გავეცნობოდი.

***— ვინ არის თქვენთვის დიდი ქართველი?***

— ჩემთვის გამორჩეულია ჩვენი პატრიარქი, დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე, რეზო თაბუკაშვილი. ტრაბახში ნუ ჩამითვლიან, მაგრამ მამაჩემი — დიდი ჯანო ბაგრატიონი ჩემთვის დიდი ქართველია.

***— წიგნებს ხშირად კითხულობთ?***

— სამწუხაროდ, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წიგნების კითხვა არ შემიძლია. ინსულტის შემდეგ თვალისჩინი დამაკლდა და კითხვას ველარ ვახერხებ.

# თანამედროვე ხელოვნებაზე სემინარი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

თანამედროვე ხელოვნების ცენტრ „თბილისის“ საგამოფენო სივრცეში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „დროის ჩაუწერელი მონაკვეთი“.

პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ. ექსპოზიცია კურატორული პროექტის „მეხსიერების“ ფარგლებში მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილია ცხრა ხელოვანის მიერ განსხვავებულ მედიებში შესრულებული ნამუშევრები. გამოფენა წარმოადგენს ერთგვარ კვლევას მეხსიერების ფენომენის გარშემო და ეს თემა სხვადასხვა კუთხით არის გაშლილი. გამოფენაში მონაწილეობენ სოფო აბაშიძე, ლადო ონიანი, ნატალია ნებიერიძე, ლია გულუა, გიორგი ცაგარელი, მარიკა ასათიანი, თამუნა ქარუმიძე, რეზო ღლონტი, სალომე ჯაში.

30 აპრილს პროექტის ფარგლებში თანამედროვე ხელოვნების ცენტრ „თბილისში“ გაიმართება სემინარი სახელწოდებით „ცნობიერების აქტივირთვის ხელოვნება“, რომელსაც ზურაბ ჯიშკარიანი ჩაატარებს. სემინარი მოიცავს თემებს ცნობიერების აქტივირთვის ჰიპერთეტიური თეორიების, ინფორმაციული უკვდავებისა და თანამედროვე ხელოვნების შესახებ.

15 მაისს შედგება პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია თემაზე „კურატორული საქმიანობის განვითარება ამიერკავკასიაში“. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, აგრეთვე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მოწვეული კურატორები ალი ჰასანოვი, ევა ხაჩტრიანი, ნინო ჭოღოშვილი, ელენე აბაშიძე და ანი ჩორგოლაშვილი. კონფერენციაზე გაიმართება გამოფენის კატალოგის პრეზენტაციაც. გამოფენა „დროის ჩაუწერელი მონაკვეთი“ ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

# ჯართის ექსპორტზე ტარიფს მთავრობა დაადგენს

ჯართის ექსპორტზე ტარიფი კანონით აღარ იქნება დადგენილი და მის ოდენობას მთავრობა განსაზღვრავს. საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილება და დამატება პარლამენტმა მესამე მოსმენით, 83 ხმით ერთხმად დაამტკიცა.

დღეს მოქმედი ნორმით, შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი ტონაზე 120 ლარით იბეგრება.

ახლად დამტკიცებული ცვლილებით, საგადასახადო კოდექსს ახალი მუხლი ექსპორტის აქციზის ტარიფი ემატება, რომელშიც ნათქვამია, რომ შავი და ფერადი ლითონების ექსპორტის მომსახურებაზე ტარიფის ოდენობა და გადახდის წესი საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. კერძოდ, შავი და ფერადი ლითონების ექსპორტზე მომსახურების ტარიფს შემოიღებენ, რომელიც არა კანონით, არამედ მთავრობის მიერ დადგინდება.

**მედიანიუსი**

# ფალსიფიცირებული ქართული ღვინოები ევროპულ ბაზარზე აღმოაჩინეს

ლიტვაში, ვილნიუსში ერთ-ერთ სუპერმარკეტში ქართული ქინძმარაული და ხვანჭკარა ბულგარული წარმოების ღვინოების განყოფილებაში აღმოაჩინეს.

ღვინოები სუპერმარკეტში ორ ევროდ იყიდებოდა.

ფალსიფიცირებული სასმელი ბალტიისპირეთში „საქპატენტის“ ხელმძღვანელმა, ირაკლი ღვალაძემ აღმოაჩინა.

ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვილნიუსში ნაყიდი ღვინოები ფალსიფიცირებული, არაქართული წარმოების „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაულია“.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტო სპეციალურ დოკუმენტზე მუშაობს, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით ვილნიუსში გადაიგზავნება, რათა მომხდარზე შესაბამისი რეაგირება მოხდეს და მომავალში ევროპულ ბაზარზე ქართული ღვინოების ფალსიფიცირების შემთხვევები გამოირიცხოს.

**მედიანიუსი**

# მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს

სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურები დახმარებას ითხოვენ.

როგორც „მედიანიუსს“ სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ერთ-ერთი მეზღვაურის დავით დევაძის მამამ, სერგო დევაძემ განუცხადა, მას შვილმა დავით დევაძემ 20 დღის წინ დაურეკა და მისგან დახმარება ითხოვა.

— ჩემმა შვილმა 20 დღის წინ რომ დამირეკა, მკითხა, მპატრონობთ თუ არაო. ამ ეტაპზე გემთმფლობელსა და მეკობრეებს შორის მოლაპარაკება საბერძნეთში მიმდინარეობს, თუმცა ჩემთვის დეტალები არ არის ცნობილი, — აღნიშნა სერგო დევაძემ.

მისი თქმით, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოსთვის გახდება მოლაპარაკების შედეგი ცნობილი.

შეგახსენებთ, 15 ქართველი მეზღვაური სომალელი მეკობრეების ტყვეობაში უკვე რამდენიმე თვეა იმყოფება. მეკობრეები მათ გათავისუფლებას თებერვლის თვეში აპირებდნენ, თუმცა ქართველი მეზღვაურები ისევ ტყვეობაში რჩებიან.

**მედიანიუსი**

# თელავის დაუმორჩილებლობის კომიტეტი აქციას გამართავს

პროექტ „მხილების მუზეუმის“ ფარგლებში, წარმომადგენლობითი სახალხო კრება დღეს, თელავის დრამატული თეატრის შენობის წინ, საპროტესტო აქციას გამართავს.

სახალხო კრების პრესსამსახურის ინფორმაციით, აქციის ფარგლებში მოეწყობა მიხეილ სააკაშვილისა და მისი ჩინოვნიკების სასახლეების ფოტოების გამოფენა. აქციის მიზანია, კონკრეტული ჩინოვნიკების სასახლეების მხილება.

— შევიკრიბებით და ყველას დავანახებთ, თუ როგორ ცხოვრობენ ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხის ხარჯზე, — აცხადებენ სახალხო კრებაში.

წარმომადგენლობითი სახალხო კრება 21 აპრილს საინფორმაციო სახის აქციას ახმეტის მუნიციპალიტეტშიც მოაწყობს და ქვეყანაში მიმდინარე რეალური პროცესების შესახებ მოსახლეობას ინფორმაციას მიაწვდის.

**ინტერპრესნიუსი**

# ქუთაისში სახალხო კრების ახალგაზრდული ორგანიზაცია დაფუძნდება

ქუთაიში დღეს სახალხო კრების ახალგაზრდული ორგანიზაციისა და „შეფიცულების“ დამფუძნებელი ღონისძიება გაიმართება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო კრების პრესსამსახურიდან აცნობეს, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრები, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი, „შეფიცულების“ ხელმძღვანელი გია ბურჯანაძე და სახალხო კრების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართველ კალათბურთელებს გვერდში „ლიბერთი ბანკი“ დაუდგა

ნათია ხურცილავა




**„ლიბერთი ბანკი“ ინოვაციურ სიურპრიზს თავისი მომხმარებლებისთვის განაგრძობს. ამჯერად „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ კალათბურთელების მხარდაჭერა გადაწყვიტა მნიშვნელოვანი ასპარეზობის წინ.**

**კალათბურთის ევროპის ჩემპიონატი არამხოლოდ საქართველოს კალათბურთის ნაკრებისთვის არის დიდი მოვლენა, არამედ ქართველი ხალხისთვის.**

**ამდენად, მართლაც სჭირდებათ ქართველ კალათბურთელებს არა მხოლოდ მორალური, არამედ ფინანსური მხარდაჭერაც.**

„ლიბერთი ბანკმა“ ბაზარს კიდევ ერთი „პატრიოტი ქომაგი 2011“ შესთავაზა, რომლის სარგებელი კალათბურთის ეროვნული ნაკრების წარმატების შესაბამისად გაიზრდება.

მეანაბრეების სახელით „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების წევრებს გადასცემს პრემიას. რაც მეტი შეგროვდება ანაბრის თანხა, მით მეტი იქნება პრემიის მოცულობა.

„პატრიოტი ქომაგი 2011“ „ლიბერთი ბანკის“ თვისობრივად ახალი ვადიანი ანაბარია ლარში, რომელიც ბანკმა 2011 წლის 14 აპრილიდან დანერგა წლიური 14 პროცენტიანი საბაზისო განაკვეთით და რაგბის ეროვნული ნაკრების წარმატების შესაბამისად სარგებლის ზრდის შესაძლებლობით.

უკვე „ლიბერთი ბანკში“ ასევე შესაძლებელია „პატრიოტი ქომაგი 2011 კალათბურთის“ გახსნა, რომლის საბაზისო განაკვეთი ასევე 14 პროცენტია და სარგებელი იმავე პრინციპით ნაკრების წარმატების შესაბამისად გაიზრდება.

ამგვარად, რაც უფრო წარმატებულად იასპარეზებს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე, მით უფრო მეტი დამატებითი სარგებელი დაერიცხება ყოველ გახსნილ ანაბარს.

კალათბურთის შემთხვევაში ანაბრის მაქსიმალურმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შესაძლოა 24 პროცენტი შეადგინოს.

კალათბურთის ევროპის ჩემპიონატი 2011 წლის 31 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება.

ანაბარს „პატრიარქი ქომაგი 2011 კალათბურთი“ ვადა 2012 წლის 18 სექტემბერს ეწურება.

ევროპის ჩემპიონატზე ქართველი კალათბურთელების წარმატების შესაბამისად წლიური საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ზრდა ასეთია:

ჯგუფში ერთი მოგების შემთხვევაში — საბაზისო საპროცენტო განაკვეთს პლუს 2 პროცენტი, ჯამში წლიური 16 პროცენტი.

ჯგუფში ორი მოგების შემთხვევაში — საბაზისო საპროცენტო განაკვეთს პლუს 4 პროცენტი, ჯამში წლიური 18 პროცენტი.

ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში — საბაზისო საპროცენტო განაკვეთს პლუს 6 პროცენტი, ჯამში წლიური 20 პროცენტი.

ევროპის ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში — საბაზისო საპროცენტო განაკვეთს პლუს 10 პროცენტი, ჯამში წლიური 24 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრები, ევროპის ჩემპიონატში თავის ისტორიაში პირველად მიიღებს მონაწილეობას.

„ლიბერთი ბანკი“ საკუთარი ხარჯით, როგორც ეს გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, მეანაბრეთა სახელით კალათბურთის ეროვნულ ნაკრებს გადასცემს პრემიას და ამით დაუფასებს მათ წარმატებას. პრემიის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს ჯამში გახსნილი „პატრიარქი ქომაგი 2011 კალათბურთის“ პორტფელის 4.5 პროცენტს. რაც მეტი შეგროვდება ანაბრის თანხა, მით მეტი იქნება პრემიის მოცულობა.

„პატრიოტი ქომაგი 2011 კალათბურთის“ გახსნა შესაძლებელია მინიმუმ 200 ლარით. მისი გახსნა და მომსახურება უფასოა. გახსნის ბოლო ვადა 2011 წლის 30 აგვისტოა.

გუშინ „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისში ბანკის გენერალურმა დირექტორმა ახალი ინიციატივის პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და საქართველოს კალათბურთის ნაკრების წევრებიც ესწრებოდნენ.

ბესიკ ლიპარტელიანი მიესალმება „ლიბერთი ბანკის“ ინიციატივას და აღნიშნავს, რომ ეს იქნება სტიმული ჩვენი კალათბურთელებისთვის.

კალათბურთის ეროვნული ნაკრების წევრი ნიკა ცქიტიშვილი და სხვებიც აცხადებენ, რომ ეს იქნება კიდევ ერთი დამატებითი სტიმული ბიჭებისთვის, რათა თავდადებით იბრძოლონ წარმატების მოსაპოვებლად.

„ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ ფედერაციას და კალათბურთელებს მიულოცა ის დიდი მიღწევა, რასაც ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა ჰქვია.

— მინდა მივულოცო საქართველოს კალათბურთის ფედერაციას და ეროვნულ ნაკრებს ეს დიდი მიღწევა. ქართველ კალათბურთელებს ევროპის ჩემპიონატზე, მართლაც ამ მნიშვნელოვან და დიდი ასპარეზობაზე წარმატებას და გამარჯვებას ვუსურვებ. „ლიბერთი ბანკის“ კლიენტებს კი მოვუწოდებ, უქომაგონ ეროვნულ ნაკრებს, გახსნან „ანაბარი ქომაგი 2011“ და ამით დაუფასონ მათ წარმატება, — განაცხადა „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა და სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ ლადო გურგენიძემ.



მსგავსი მხარდაჭერა გასულ კვირას „ლიბერთი ბანკმა“ ქართველ მორაგბეებს მსოფლიო თასზე აღუთქვა.

ვადიანი ანაბარი „პატრიოტი ქომაგი 2011“-ის ვადა 2012 წლის 23 ოქტომბერს იწურება.

# ხელისუფლება გამოსაშვებ გამოცდებს მოუმზადებელი ხვდება

**პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველო“ ხელისუფლებას საბუნებისმეტყველო საგნებში ტესტების გამარტივებისა და ჩასაბარებელი პროგრამების მოცულობების შემცირებისკენ მოუწოდებს.**

პარტიის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე მანანა ნიკოლაიშვილს თქმით, ხელისუფლება XII კლასების გამოსაშვებ გამოცდებს აბსოლუტურად მოუმზადებელი ხვდება.

როგორც ნიკოლაიშვილი აცხადებს, დღემდე არ არის განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი და პირობები. არ არის დამტკიცებული გამოცდის ჩატარების ფორმა, შედეგები, გამოცდების ნუსხა; მონაცემთა ბაზები; საგამოცდო განაცხადი; საატესტატო გამოცდების მიმდინარეობის პირობები; პირები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან დაესწრონ საგამოცდო პროცესს; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი; მოსწავლის მიერ ატესტატის მოპოვების წესი; პრეტენზიების განხილვისა და საბოლოო შედეგების დადგენის წესი; საპრეტენზიო საბჭოს რეგლამენტი; საატესტატო გამოცდების პროცედურული დარღვევის გასაჩივრების წესი; საატესტატო გამოცდებზე განმეორებითი განაცხადის წარდგენის წესი.

მისივე მტკიცებით, სადემონსტრაციო ტესტირებამ და პრეტესტირებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ვერ ლახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ქიმია - ფიზიკა - ბიოლოგიაში.

— ამიტომ, მოუწოდებთ ხელისუფლებას, მნიშვნელოვნად გამარტივდეს საბუნებისმეტყველო საგნებში ტესტები, შემცირდეს ჩასაბარებელი პროგრამების მოცულობები და მიეცეთ მოსწავლეებს ერთი თვის შემდეგ გადაბარების საშუალება, — აცხადებს ნიკოლაიშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს პატრიარქმა ახალი საგალობელი დაწერა

ეკა ირემაშვილი

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ახალი საგალობელი დაწერა.**



„SANCTUS" — ასე ეწოდება საგალობელს, რომლის პრემიერაც პირველ მაისს რიგით მეექვსე საერთაშორისო ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე" იქნება წარმოდგენილი. საგალობლის სახელწოდება ლათინური სიტყვაა, რომელიც „წმინდას" ნიშნავს, ქრისტიანულ ლიტურგიაში კი ჰიმნის დასახელებაა. საგალობელი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდანაა „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი", ხოლო მეორე ნაწილი მათეს სახარებიდანაა „წმიდა არს უფალი, საბაოთ". საგალობელი გალაკონცერტზე ლათინურ ენაზე შესრულდება.

ფესტივალი უკვე ექვსი წელია არსებობს და მისი დამფუძნებლები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და აკაკი რამიშვილის ფონდი „ტრადიცია და ინოვაცია" არიან. ყოველწლიური ფესტივალი იწყება აღდგომის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში და გრძელდება ამაღლების დღესასწაულამდე. საერთაშორისო ფესტივალის ძირითადი მიზანი უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების სამშობლოში პოპულარიზაციაა, ასევე — ახალგაზრდების დაინტერესება ტრადიციული და აკადემიური ხელოვნებით. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი (კონსულტანტი) ყოველწლიურად იცვლება და მისი მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში სრულიად უანგაროა. ამით ფესტივალი თანდათან საყოველთაო ხასიათისა და ყველა ხელოვანის „კუთვნილება" გახდება. პირველ ფესტივალს პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი ხელმძღვანელობდა, მეორე ფესტივალს — კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე, მესამეს — მევიოლინე ლიანა ისაკაძე, მეოთხეს — დირიჟორი ნიკა მემანიშვილი, მეხუთეს — მევიოლინე მარინე იაშვილი.

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე" საზეიმოდ იხსნება თბილისში და გრძელდება საქართველოს ქალაქებში. რიგით მეორე ფესტივალი ყველასგან გამორჩეული იყო, რადგან იგი მიეძღვნა პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავს, მესამე ფესტივალი კი — ილია მეორის 75 წლის იუბილეს.

ფესტივალის მთავარი პრიორიტეტია ტრადიციული და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია. ამისათვის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, ფესტივალისთვის საქველმოქმედო ხასიათი მიეცათ და მსმენელთა უფასო დასწრება დაეწესებინათ. საფესტივალო საღამოები იმართება როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

რიგით მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე" 28 აპრილს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ალექსანდრე კორსანტიას სტუდენტთა კონცერტით გაიხსნება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ელენე ბერიევა (ბოსტონის „ახალი ინგლისური კონსერვატორიის" ასისტენტი), თამარ შალვაშვილი, ცოტნე ცოცხალაშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრები (გაერთიანებული შემადგენლობა), სადირიჟორო პულტთან კი დირიჟორი რევაზ ტაკიძე იდგება.

ფესტივალის გახსნამდე კი 20 აპრილს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის მონაწილეობით სიმფონიური მუსიკის კონცერტი გაიმართება, დირიჟორი დიმიტრი იაბლონსკი, სოლისტი — ოქსანა იაბლონსკაია (ფორტეპიანო). ორმოქმედებიანი ღონისძიების საკონცერტო პროგრამაშია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმფონია №5 და საფორტეპიანო კონცერტი №5. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 15 ლარამდეა.

წელს თბილისში ფესტივალის ეგიდით ორი კონცერტი ჩატარდება. მეორე ღონისძიება პირველ მაისს თბილისის საკონცერტო დარბაზში შედგება. გალაკონცერტზე შესრულდება საგალობელი „ქრისტე აღდგა", იოსებ ბარდანაშვილი — ფსალმუნი 121, სერგეი რახმანინოვი — კონცერტი №3 ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, არიები და სცენები ცნობილი ოპერებიდან. კონცერტს დააგვირგვინებს საქართველოს პატრიარქის ილია II-ის საგალობელი ავე მარია და ახალი საგალობლის „ᲗᲤᲒᲡᲔᲑᲗᲫ პრემიერა.

გალაკონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ალექსანდრე კორსანტია, ლადო ათანელი, მაყვალა ასპანიძე, თეონა დვალი, შალვა მუქერია, ანიტა რაჭველიშვილი, თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორები ჯანლუკა მარჩიანო, ვახტანგ კახიძე, ზვიად ბოლქვაძე, ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ნიკა მემანიშვილი, თბილისის ოპერის თეატრის გუნდი, ქორმაისტერები ავთანდილ ჩხენკელი, შალვა შაორშაძე, ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა საპატრიარქო გუნდი, რეგენტი სვიმონ ჯანგულაშვილი, გალაკონცერტის რეჟისორი დავით საყვარელიძეა. ფესტივალის ფარგლებში ჩატარებულ გალაკონცერტს საზღვაგარეთიდან მოწვეული საპატიო სტუმრებიც დაესწრებიან.

# ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ქართველი ხუროთმოძღვრის საფლავი მოინახულა

ეკა ირემაშვილი



ძეგლთა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა კულტურული მემკვიდრეობის სფეროს სპეციალისტებთან და სტუდენტებთან ერთად სამთავისის საეპისკოპოსო სასახლეში აღმოჩენილი დიდი ქართველი ხუროთმოძღვრის ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაველის საფლავი მოინახულა. ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღე 1983 წელს იუნესკოსა და იკომოსის გადაწყვეტილებით დაწესდა და მას მთელ მსოფლიოში 1984 წლიდან აღნიშნავენ.

სამთავისში ჩასულმა სპეციალისტებმა შეაფასეს, ხოლო სტუდენტები კი გაეცნენ უკანასკნელ წლებში სამთავისის საეპისკოპოსო ტაძარში განხორციელებულ სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოებს. სამთავისის გუმბათიანი, საეპისკოპოსო ტაძარი სამთავნელმა ეპისკოპოსმა ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაველმა 1030 წელს ააშენა. წარწერებიდან ირკვევა, რომ თავად ილარიონია ტაძრის მაშენებელი. ქართველ ხუროთმოძღვართაგან ჩვენამდე მხოლოდ ილარიონ ყანჩაველის საფლავმა მოაღწია. დღემდე ჯერჯერობით სხვა ქართველ ოსტატთა საფლავები უცნობია. ილარიონი გარდაიცვალა 1056 წელს და დაიკრძალა საგანგებოს აგებულ ეკვდერში, რომელიც სამთავისის ტაძარს სამხრეთიდან ჰქონდა მიდგმული. წარწერა, რომელშიც მოხსენიებული იყო ილარიონის გარდაცვალების თარიღი — 1056 წელი მარი ბროსემ წაიკითხა, შემდეგ ეს წაკითხვა ჩაასწორა თედო ჟორდანიამ. წარწერა ამოკვეთილი იყო სამთავისის ტაძრის სამხრეთი მინაშენის ინტერიერში, გუმბათოვანი ტაძრის სამხრეთ კედელზე. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში სამთავისის ტაძარს ჩაუტარდა დიდი სარემონტო სამუშაო, რომელსაც არქიტექტორი ქსავიე რიპარდი ახორციელებდა. ამ არქიტექტორის გადაწყვეტილებით, მოინგრა ტაძრის დაზიანებული მინაშენები. ამ დროს დაინგრა ილარიონ სამთავნელის ეკვდერი და კედლიდან მოშალეს 1056 წლით დათარიღებული წარწერაც. 2009 წელის არქეოლოგიური სამუშაოების დროს, როდესაც სამთავისის სამნავიანი ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკის ჩრდილოეთი ნავის დასავლეთ მონაკვეთი ითხრებოდა, გადაწყდა ილარიონ სამთავნელის ეკვდერის საძირკვლის მოშლაც, რადგან მას აღარც მხატვრული და არც ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. შედეგად მთლიანად გამოვლინდა ბაზილიკის ჩრდილოეთი კედელი. გათხრების შედეგად კი ბაზილიკის კედელში აღმოჩნდა ერთი საფლავი, რომელიც რიპარდის მიერ მონგრეული ეკვდერის იატაკში იქნებოდა მოწყობილი, ეს საფლავი სწორედ ილარიონ სამთავნელ ეპისკოპოსის განსასვენებელი უნდა იყოს.

# ეროვნული არქივის ფონდი დოკუმენტური ფილმებით შეივსო

ეკა ირემაშვილი

კინოდოკუმენტალისტ მერაბ გაგუას მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმები იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში იქნება დაცული. მისი ნამუშევრები კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დოკუმენტური ფილმების მდიდარ კოლექციას შეემატა.

მერაბ გაგუამ ეროვნული არქივის ფონდს გადასცა 1960-1990-იან წლებში გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები — „ქართული კოსტიუმი", „მწყემსი", „ქართული მონეტები", „ადამიანი და მთები", ასევე სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „კეთილი იმედის ქვეყანა", რომელიც მოგვითხრობს ბრაზილიის ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და რელიგიურ ცხოვრებაზე. რეჟისორმა ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორ თეონა იაშვილს დოკუმენტური ფილმების ორიგინალი ფირები პირადად გადასცა.

— მნიშვნელოვანია, რომ გრძელდება კინოარქივის დაკომპლექტდება ახალი დოკუმენტებით. ჩვენ დავამუშავებთ და აღვრიცხავთ კინოფირებს, შემდეგში კი მკვლევართა დარბაზის მეშვეობით ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის, — განაცხადა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დოკუმენტური ფილმები დამუშავდება, მიენიჭება საარქივო ნომრები და შესაბამისი ინფორმაცია განთავსდება მკვლევართა დარბაზის კართოტეკებში.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# ოთარ მარცვალაძე რუსულ პრემიერლიგაში საუკეთესოთა შორის არის

რუსეთის პრემიერლიგაში 5 ტური მიილია. ეს ჩემპიონატი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ ძალიან ბევრი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთა უმეტესობა ეროვნული გუნდის წევრები არიან. ჩვენებურები პრემიერლიგაში წამყვან პოზიციებზე არიან და ამის დასტური რუსეთში ყველაზე პოპულარული სპორტული გამოცემა „სპორტ-ექსპრესია“.

გაზეთი ყოველი ტურის შემდეგ ფეხბურთელებს ქულებით აფასებს და შემდეგ საშუალო მაჩვენებელი გამოჰყავს. ამ გამოთვლით ნიჟნი ნოვგოროდის თავდამსხმელი ოთარ მარცვალძე პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის 6,1 ქულით 4-10 ადგილებს იყოფს. მარცვალაძე ამას არ ჯერდება და მოსკოვის არმიელ სერბ ფეხბურთელ მილოშ კრასიჩთან ერთად საუკეთესო ლეგიონერად მიიჩნევა. საუკეთესო თავდამსხმელებში კი მხოლოდ ზენიტელ ალექსანდრ კერჟაკოვს (6,25) ჩამორჩება.

ცენტრალური მცველების პოზიციაზე მე-5 ადგილი უკავია „კრასნოდარის“ უკანახაზელ ალექსანდრე ამისულაშვილს, რომლის საშუალო მაჩვენებელი 5.8 ქულაა. ამდენივე ქულით მარჯვენა მცველების ნომინაციაში მეორე ადგილზეა „ვოლგას“ ფეხბურთელი ლაშა სალუქვაძე.

2 ფეხბურთელია ნახევარდაცვის ხაზშიც — მარცხენა ვინგერის პოზიციაზე ვოლგელი გოგიტა გოგუა 5,75 ქულით მეხუთეა, ხოლო ცენტრალურ ნახევარმცველებში იმავე ვოლგელი გოჩა ხოჯავა 6,0 ქულით 2-4 ადგილებს იყოფს.

ხოჯავა 4-5 ადგილებს იყოფს გოლს პლუს პასის ნომინაციაშიც — ჩვენებურს 4 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი და ერთხელაც თანაგუნდელებს გაატანინა.

მართალია, მეკარეთა ნომინაციაში არ ფიგურირებს მახაჩყალის □„ანჟის“ კიპერი ნუკრი რევიშვილი, თუმცა 3 უგოლო ჩატარებული მატჩით ის მხოლოდ კრასნოდარელ ევგენი გოროდოვს ჩამორჩება.

როგორც ხედავთ, ნომინანტთა სიაში ძირითადად „ვოლგას“ ფეხბურთელები არიან, თუმცა სეზონი მხოლოდ ახლა დაიწყო და ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ქართველი ფეხბურთელებისთვის რუსულ პრემიერლიგაში.

# ჯაბა ლიპარტია: „ლუგანსკში ქართულ რესტორანს აღარ ვეძებ“

**ქართველი ფეხბურთელი ჯაბა ლიპარტია ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას უკრაინულ ლუგანსკის „ზარიაში“ გადავიდა და უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს. ამის დასტური იქაური ჟურნალისტებიც არიან, რომლებსაც ჩვენებური სულ „სამიზნედ“ ჰყავთ ამოღებული.**



*— იმის გათვალისწინებით, რომ “ზარიამ“ ამ სეზონში თავისი ამოცანა შეასრულა, გუნდს დარჩენილ 5 მატჩში არასათანადო მოტივაცია ხომ არ ექნება?*

— სატურნირო ცხრილში, მეექვსე ადგილიდან მოყოლებული, გუნდებს შორის სიმჭიდროვეა. ჩვენი ამოცანა ბოლო ტურამდე ბრძოლა და მაქსიმუმის მიღწევაა.

*— ჯერ დონეცკისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგები“, შემდეგ „ვორსკლა“, „დნიპრო“ და ბოლოს „კრივბასი“ — როგორ შეაფასებთ ასეთ კალენდარს?*

— საქმე მეტოქეებში არაა. საკუთარ კედლებში რომ ვთამაშობდეთ, ყველაფერი გაცილებით იოლი იქნებოდა. ჩვენი გულშემატკივრების გარეშე, რომლებიც სტადიონ „ავანგარდზე“ 15-20 ათასამდე იკრიბებიან, ძალიან გაგვიჭირდება. საერთოდ, ძნელია ცარიელი ტრიბუნებით თამაში — ისე, როგორც ეს დონეცკში იყო.

*— გვიამბეთ, როგორ აღმოჩნდით უკრაინაში.*

— „ზარიაში“ ჯერ კიდევ ორწლინახევრის წინ შემეძლო გადმოსვლა, როდესაც გუნდის მთავარი მწვრთნელი ანატოლი ვოლობუევი იყო. სამწუხაროდ, მაშინ ტრანსფერი სხვადასხვა მიზეზთა გამო არ შედგა. „ზარიამ“ ამ ზამთარს თურქულ შეკრებაზე მიმიწვია და როგორც ხედავთ, ახლა აქ ვარ.

*— საქართველოში რომელ გუნდს შეადარებდით „ზარიას“?*

— „ზესტაფონს“. ლუგანსკელებიც ტექნიკური ფეხბურთის მიმდევრები არიან. ვცდილობთ, ვაკონტროლოთ ბურთი და მხოლოდ წინ უაზროდ არ ვურტყათ.

*— უკრაინაში თანამემამულეებთან კავშირი გაქვთ?*

— კავშირი „დნიპროში“ მოთამაშე უჩა ლობჟანიძესთან მაქვს, რომელთან ერთად შვიდი წელი ერთ საფეხბურთო სკოლაში გავატარე. მასთან კონტაქტი მუდმივად მაქვს.

*— „ზარიაში“ გადმოსვლამდე რომელ პოზიციაზე თამაშობდით?*

— ბოლო პერიოდში „ვიტ ჯორჯიაში“ პლეიმეიქერი ვიყავი, „ზარიაში“ საყრდენი ნახევარმცველის ფუნქცია დამაკისრეს. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გამიჭირდა — ნელ-ნელა ვეჩვევი. თანაც, მწვრთნელი მაძლევს წინ წასვლის საშუალებას. მიყვარს შეტევაში ყოფნა...

*— საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?*

— გიორგი ქინქლაძეს. ეს ლეგენდარული ადამიანი „მანჩესტერ სიტიში“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო.

*— ნაკრებში გიწვევენ?*

— ერთი მატჩი ვითამაშე — ჩერნოგორიასთან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. იმედი მაქვს, ნაკრებში თამაშის საშუალება კიდევ მომეცემა.

*— ლუგანსკში როგორ მოეწყვეთ?*

— ბრწყინვალედ. ცოტა ხნის წინ ჩემთან ოჯახი გადმობარგდა და ამიტომ ქალაქში ქართული რესტორნის ძებნა აღარ მომიწევს.

# კენი დალგლიში: „რაც ვენგერს ვუთხარი, იმის გამეორება არ მინდა“

ინგლისის პრემიერლიგის 33-ე ტურის ბოლო ტურში არსენალი-ლივერპულის (1:1) დასრულების შემდეგ ლივერპულელთა მწვრთნელ კენი დალგლიშს „არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერისთვის რაღაც უხეშად უთქვამს. ეს რაღაც კი ისეთი რამ არის, რომ დალგლიშს მისი გამეორება აღარ სურს.

ყველაფერი ასე მოხდა: საფინალო სასტვენის შემდეგ ვენგერი დალგლიშთან მივიდა და ხელები გაშალა, რითაც გამოხატა, რომ მსაჯს 102-ე წუთზე მისი გუნდის კარში პენალტი არ უნდა დაენიშნა. დალგლიშმა ჰკითხა: არ იყო პენალტი? ვენგერმა უპასუხა, რომ არ იყო, რაზეც ლივერპულელი გაბრაზდა და...

შეგახსენებთ, „არსენალმა“ ანგარიში მსაჯის მიერ წარმატებულ მე-8 წუთზე გახსნა. ყველას ეგონა, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ თამაში კიდევ 3 წუთს გაგრძელდა და მერსისაიდელთა პენალტით დამთავრდა. ასეთი შედეგის გამო „მეთოფეებს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადასწრების და ჩემპიონობის შანსი ერთიორად შეუმცირდათ. ბედის ირონია კი ისაა, რომ მატჩს და კოლეგების კამათს ტრიბუნიდან „იუნაიტედის“ თავკაცი, ალექს ფერგიუსონი ადევნებდა თვალყურს.

პრესკონფერენციაზე ვენგერმა თქვა:

— ერთადერთი, რაც დალგლიშს ვუთხარი, ის იყო, რომ პენალტი არ უნდა დაენიშნათ. შეგიძლიათ ვიდეოჩანაწერი ნახოთ და თავად დარწმუნდებით. □„ლივერპულს“ პენალტი მე-11 დამატებულ წუთზე დაარტყმევინეს, მაშინ როდესაც მხოლოდ 8 წუთი ჰქონდათ დამატებული. საიდან მოვიდა ის 3 წუთი? რაც მთავარია, იმ ეპიზოდში წესი არ დარღვეულა. ებუე აშკარად ბურთზე წავიდა და არა ფეხბურთელზე, ლუკასმა კი ტანი ჩაუდგა და წაიქცა.

დალგლიშმა კი ჟურნალისტებთან ლაპარაკში ასე ბრძანა:

— ჯერ ერთი, არ მესმის ასეთი დაძაბული თამაშის შემდეგ მწვრთნელებს შორის შელაპარაკება რატომ არის გასაკვირი ან დაუშვებელი. იმის გამეორება, რაც მოედნის კიდესთან ვენგერს ვუთხარი, არ მინდა. ძალიან არ მინდა ამ ინციდენტზე ლაპარაკმა ჩემი ბიჭების მიღწევა გადაჩრდილოს. მათ მე-8 დამატებულ წუთზე გაშვებულ გოლსაც კი არ წაუხარეს თავი და გაათანაბრეს. რაც შეეხება პენალტს, ჩემი აზრით, ამ შეხვედრაში დანიშნული ორი პენალტიდან ერთი უნდა დანიშნულიყო, მეორე კი არა. იმაზე ფიქრი, კერძოდ რომელი უნდა დანიშნულიყო და რომელი არა, თქვენთვის მომინდია. „არსენალს“ თამაშის ბოლოს პენალტი რომ დაარტყმევინეს, ძალიან გულდასაწყვეტი გახლდათ, მაგრამ რას იზამ, როდესაც მსაჯი პენალტს ნიშნავს, მერე რაიმეს გაპროტესტებას აზრი არ აქვს.

# როჯერ ფედერერი: „ცაციებთან, ნადალის გარდა, არავისთან ვაგებდი“

**პლანეტის ყველაზე ტიტულოვანმა ჩოგბურთელმა, როჯერ ფედერერმა მონტე-კარლოს მასტერსზე ორი სასტარტო მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა, თუმცა, ნახევარფინალში გასვლა მაინც ვერ მოახერხა — შვეიცარიელს ავსტრიელმა იურგენ მელცერმა მოუგო და შეჯიბრებას გამოთიშა. ამის მიუხედავად, ფედერერი გულგატეხილი სულაც არაა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან იმედი გამოთქვა, რომ სეზონის დარჩენილ ნაწილს უფრო მეტი წარმატებით ჩაატარებს, უახლოეს დღეებს კი მშობლიურ შვეიცარიაში ინტენსიურ ვარჯიშში გაატარებს.**

*— თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ტურნირს ისე გამოეთიშეთ, ნადალთან ან ჯოკოვიჩთან არ წაგიგიათ?*

— არა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, შვიდი-რვა წელია, რაც ნადალის გარდა, სხვა რომელიმე ცაცია ჩოგბურთელთან არ დავმარცხებულვარ. ჩემი აზრით, მშვენიერი მაჩვენებელია. ისე კი, წაგება არავისთანაა სასიამოვნო. ჩემთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბოლომდე ვიბრძოლე. ცხადია, ნახევარფინალში გასვლა გულით მეწადა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მონტე-კარლოში სამი მატჩი ჩავატარე და სამივეში ნორმალურად ვიასპარეზე. ნადალთან ან ჯოკოვიჩთან მარცხი კი უფრო ადვილად გადასატანია არაა, ვიდრე მელცერთან წაფორხილება. იურგენი მშვენიერ ფორმაშია, თანაც სადღეისოდ მოწინავე რეიტინგსიის ათეულში შედის.

*— უახლოესი დღეების განმავლობაში რას მოიმოქმედებთ?*

— შვეიცარიაში გავემგზავრები და თიხნარის კორტზე ინტენსიურად ვივარჯიშებ. იმედია, სამშობლოში კარგი ამინდი დამხვდება, რაც ღია კორტზე წვრთნის საშუალებას მომცემს.

*— ყველაზე მეტად რომელი კომპონენტების დახვეწას დაუთმობთ ყურადღებას?*

— პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით ვიმუშავებ, ყველაზე დიდ დროს კი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზადებას მოვახმარ. წინ სეზონის ურთულესი პერიოდი მელის და მას ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდე. მადრიდი, რომი, საფრანგეთის ღია პირველობა, ჰალე, უიმბლდონი, დევისის თასი — ჩამოთვლილი ტურნირები ყველა პრესტიჟული შეჯიბრებებია და მათში წარმატებით გამოსვლის იმედი მაქვს.

*— ესპანეთისა და იტალიის დედაქალაქებში მასტერსის ტურნირები ჩატარდება. მადრიდისა და რომის ასპარეზობები სხვებისგან უპირველესად რით განსხვავდება?*

— მხოლოდ იმით, რომ სხვა ქვეყნებში იმართება. წლეულს მადრიდის ტურნირი შედარებით ადრე ტარდება, რაც ყველას გვიხარია. ამის გამო საფრანგეთის ღია პირველობისთვის მოსამზადებლად მეტი დრო გვექნება. მე ყოველთვის კარგად გამოვდიოდი მას შემდეგ, რაც მადრიდსა და რომში ვასპარეზობდი. ვფიქრობ, სამადრიდო შეჯიბრებას კარგად მომზადებული შევხვდები, რადგანაც მანამდე ნაყოფიერ და ინტენსიურ მოსამზადებელ პერიოდს გავივლი.

# ინიესტას ძველი საქმე ამოუქექეს

უეფა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრით, უფრო სწორად კი, მისი ერთ-ერთი ეპიზოდით დაინტერესდა და შესაძლოა, „ბარსელონას“ ლიდერი ანდრეს ინიესტა დისკვალიფიკაციით დაისაჯოს.

ის თამაში „ბარესლონამ“ დონეცკის „შახტართან“ 5:1 მოიგო. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ანგარიში 3:0 იყო, ინიესტა მეტოქის ფეხბურთელს ჯარიმის შესრულებაში ხელს უშლიდა, მაინცდამაინც არც მსაჯის მოთხოვნას დაემორჩილა და მას ყვითელი ბარათი დასტყუა. ჰოდა, სადისციპლინო კომიტეტში ვარაუდობენ, რომ ესპანელმა ეს ყვითელი ბარათი შეგნებულად მიიღო და აფერისტობისთვის მის დასჯას აპირებენ.

წინა შეხვედრებში ინიესტას ერთი ყვითელი უკვე მიღებული ჰქონდა და ამრიგად, დონეცკელებთან განმეორებით მატჩს გამოტოვებდა. სამაგიეროდ, ნახევარფინალურ ეტაპზე ის უფრო თამამად ითამაშებდა, მაგრამ თუ უეფამ ინიესტას ყვითელი ბარათი წინასწარ განზრახულად მიიჩნია, მას მადრიდის „რეალთან“ გასამართი პირველი ნახევარფინალური შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

საბოლოო გადაწყვეტილება დღეს იქნება მიღებული. გაზეთ „მარკას“ ინფორმაციით, „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ უეფაში წერილი აფრინა, სადაც ყველა ბრალდებას უარყოფს და იმედოვნებს, რომ ინიესტას სასჯელს თავიდან აარიდებს. შეგახსენებთ, რომ მსგავსი ქმედებისთვის უეფამ გასული წლის დეკემბერში სერხიო რამოსი და ხაბი ალონსო დასაჯა. მათ „აიაქსთან“ მატჩში მიზანმიმართულად მიიღეს ყვითელი ბარათები. ამასთან, ერთი მატჩით, მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიოც დაისაჯა.

## შედეგები

### ფეხბურთი.

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ქპრ-დერბი ..... 0:0

**იტალია. სერია ბ**

ტორინო-რეჯინა ..... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-სარაგოსა ..... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 27 | 4 | 1 | 86:17 | 85 |
| 2.რეალი | 32 | 24 | 5 | 3 | 73:23 | 77 |
| 3.ვალენსია | 32 | 19 | 6 | 7 | 54:35 | 63 |
| 4.ვილიარეალი | 32 | 17 | 6 | 9 | 49:36 | 57 |
| 5.ბილბაო | 32 | 15 | 3 | 14 | 49:46 | 48 |
| 6.ატლეტიკო | 32 | 13 | 7 | 12 | 50:43 | 46 |
| 7.სევილია | 32 | 13 | 7 | 12 | 48:47 | 46 |
| 8.ესპანიოლი | 32 | 14 | 3 | 15 | 40:45 | 45 |
| 9.ლევანტე | 32 | 12 | 6 | 14 | 36:42 | 42 |
| 10.მალიორკა | 32 | 11 | 6 | 15 | 33:45 | 39 |
| 11.ხიხონი | 32 | 9 | 11 | 12 | 30:37 | 38 |
| 12.სოსიედადი | 32 | 12 | 2 | 18 | 42:55 | 38 |
| 13.დეპორტივო | 32 | 9 | 11 | 12 | 27:40 | 38 |
| 14.ხეტაფე | 32 | 10 | 7 | 15 | 43:51 | 37 |
| 15.ოსასუნა | 32 | 9 | 8 | 15 | 37:39 | 35 |
| 16.რასინგი | 32 | 9 | 10 | 13 | 31:47 | 34 |
| 17.სარაგოსა | 32 | 8 | 9 | 15 | 31:45 | 33 |
| 18.მალაგა | 32 | 9 | 6 | 17 | 42:62 | 33 |
| 19.ერკულესი | 32 | 8 | 6 | 18 | 28:50 | 30 |
| 20.ალმერია | 32 | 5 | 11 | 16 | 32:57 | 26 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-აუგსბურგი ..... 0:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე მანი-ლე ავრი ..... 1:0

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

სპარტა-ცვოლე ..... 1:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ნაციონალი-ბრაგა ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 27 | 25 | 2 | 0 | 64:13 | 77 |
| 2.ბენფიკა | 27 | 19 | 1 | 7 | 55:26 | 58 |
| 3.ბრაგა | 27 | 13 | 5 | 9 | 45:32 | 44 |
| 4.სპორტინგი | 27 | 11 | 9 | 7 | 38:29 | 42 |
| 5.გიმარაეში | 27 | 10 | 7 | 10 | 31:35 | 37 |
| 6.რიუ ავე | 27 | 10 | 6 | 11 | 31:28 | 36 |
| 7.ნაციონალი | 27 | 9 | 9 | 9 | 24:29 | 36 |
| 8.ფერეირა | 27 | 8 | 10 | 9 | 25:37 | 34 |
| 9.მარიტიმუ | 27 | 8 | 8 | 11 | 32:29 | 32 |
| 10.ლეირია | 27 | 8 | 6 | 13 | 21:35 | 30 |
| 11.ბეირა მარი | 27 | 7 | 11 | 9 | 31:32 | 32 |
| 12.ოლჰანენსე | 27 | 6 | 11 | 10 | 20:31 | 29 |
| 13.აკადემიკა | 27 | 7 | 8 | 12 | 31:42 | 29 |
| 14.სეტუბალი | 27 | 6 | 10 | 11 | 25:37 | 28 |
| 16.ნავალი | 27 | 5 | 8 | 14 | 25:45 | 23 |
| 15.პორტიმორ. | 27 | 5 | 7 | 15 | 26:44 | 22 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ნალჩიკი-ტომი ..... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 11 |
| 2.ვოლგა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:3 | 9 |
| 3.კრასნოდარი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | 9 |
| 4.ყუბანი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 9 |
| 5.ცსკა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| 6.ანჟი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:3 | 8 |
| 7.რუბინი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:3 | 7 |
| 8.ლოკომოტ. | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| 9.დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| 10.როსტოვი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| 11.კრ.სოვეტ. | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| 12.ნალჩიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| 13.ტერეკი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| 14.ამკარი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 15.ტომი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| 16.სპარტაკი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

მანისა-გალათასარაი ..... 2:3

**ჩეხეთი-გამბრინუსლიგა**

სლავია-სლოვაცკო ..... 2:0

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

დინამო-ზარია ..... 2:0

**დანია. სასლიგა**

მიდტიულანდი-ოდენსე ..... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ჰელსინბორგი ..... 1:2

იორებრო-გეფლე ..... 2:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ფრედრიკსტადი-რუსენბორგი ..... 2:0

**არგენტინა. კლაუსურა**

ბანფილდი-არსენალი ..... 1:0

### კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

მაიამი-ფილადელფია ..... 94:73

სერიის ანგარიში ..... 2:0

ჩიკაგო-ინდიანა ..... 96:90

სერიის ანგარიში ..... 2:0

### ჩოგბურთი

**ატპ. ბარსელონა. თიხა**

მონტანესი-გაბაშვილი ..... 6:2;6:2

ანდუჰარი-გრანოლერსი ..... 6:0;6:1

კუევასი-ანდერსონი ..... 5:7;6:3;4:6

მონაკო-დიმიტროვი ..... 6:4;6:1

დოდიგი-მიიო ..... 6:2;6:3

სტარაჩე-ხიმენო ტრავერი ... 6:4;1:6;0:6

ნიშიკორი-რიბა ..... 6:2;6:0

გროილი-კენდრიკი ..... 6:4;6:4

**ვტა. შტუტგარტი. თიხა**

ბარტოლი-პირონკოვა ..... 6:4;6:1

საფაროვა-ბარუა ..... 1:6;4:6

ჰემპტონი-ვრლიჩი ..... 4:6;6:1;6:3

ლი-სევასტოვა ..... 6:2;6:3

დულჟერუ-ჰანტუჩოვა ..... 5:7;3:6

სტოსური-მარტინეს სანჩესი ..... 7:5;6:1

გერგერსი-კრაიჩეკი ..... 6:3;6:1

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

ბუფალო-ფილადელფია ..... 2:4

სერიის ანგარიში ..... 2:1

მონრეალი-ბოსტონი ..... 2:4

სერიის ანგარიში ..... 1:2

ტამპა ბეი-პიტსბურგი ..... 2:3

სერიის ანგარიში ..... 1:2

ფინიქსი-დეტროიტი ..... 2:4

სერიის ანგარიში ..... 0:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ოთარ იოსელიანი: „ქართველები ცხოვრების თითოეულ ბედნიერ მომენტს უფრთხილდებიან“

**ცნობილ კინორეჟისორ ოთარ იოსელიანთან მორიგ ინტერვიუს რუსული მედია აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**



***— ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, თქვენ მოახერხეთ ფილმ „შანტრაპას“ დასრულება, რომელზეც ჯერ კიდევ სამი წლის წინ საუბრობდით ნაშოკინის სახლში საკუთარი გამოფენის გახსნაზე...***

— როგორც ცნობილია, ამჟამად ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული, მაგრამ სამი წლის მანძილზე ყოველი დღე დაკავებული ვიყავი იმით, რომ ვაუმჯობესებდი პროექტს სახელწოდებით „დილეტანტები“, რომელიც შემდგომში „შანტრაპად“ იქცა. ამასთან, გულწრფელად ვფიქრობდი პარადოქსზე: რაც უფრო დიდხანს არ იქნებოდა ფული, მით უფრო მეტი იყო შანსები, რომ ჩემი მომავალი ფილმი მოხვდებოდა საბჭოთა ეპოქის იმ უდიდესი კინოპროექტების რიცხვში, რომელთაც, რეჟისორების ნების მიუხედავად, განხორციელება არ ეწერათ.

***— ამბობენ, რომ ჩვენს დროში დილეტანტები მხოლოდ რუსეთში დარჩნენ, როდესაც მთელმა მსოფლიომ, განსაკუთრებით ამერიკამ, ჩინეთმა და იაპონიამ ვიწრო და დეტალურად დამუშავებული სპეციალიზაციის სისტემა შექმნეს, სადაც თითოეული ჭანჭიკი თავის ადგილზეა. რატომ გადაწყვიტეთ, ქება-დიდება მიგეძღვნათ არაპროფესიონალიზმისთვის?***

— მე „დილეტანტის“ გაგებაში სხვა შინაარსს ვდებ. ეს არ არის ადამიანი, რომელსაც დოქის კეთება არ შეუძლია, მაგრამ მაინც აკეთებს, არამედ ის, ვინც ცხოვრობს ისე, როგორც სურს. ყველა პროფესიონალი წესებს ემორჩილება, ხოლო დილეტანტები ამ წესებს არღვევენ. ძალიან მიყვარს ადამიანები, რომლებიც წესებსა და ქცევის დადგენილ ნორმებს არ ემორჩილებიან. სწორედ დილეტანტები („დაუმორჩილებლობის“ თვალსაზრისით) ის ოქროა, ის საუნჯეა, რომელიც იყო, არის და იქნება ამ ქვეყანაზე.

მაშინ, როდესაც ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ წესებით, სოციალური კიბის საფეხურებზე დააბიჯებენ, აღწევენ წარმატებასა და სიმდიდრეს — მსოფლიოში ყველაზე უბედურნი არიან. ისინი ხომ, თავისდაუნებურადაც კი, ეჭვობენ ყველაზე და თითოეულზე, ვისაც მათგან რაღაც სურს.

შორეულ დროსაც კი სრულიად არათავისუფალი მონები სულით უფრო თავისუფალნი იყვნენ, ვიდრე მონათმფლობელები, ხოლო დღეს ძალიან ცოტანი დარჩნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დადგენილი წესების საპირისპიროდ ცხოვრობენ, ანუ ცხოვრობენ ისე, როგორც მათ სურთ; მაგრამ ასეთები კიდევ დარჩნენ. ეს მცირედ დარჩენილი სულნი, რომლებიც გადარჩნენ მანკიერებისგან, მეწარმეობისგან, სხვების დაპყრობისგან, აღმაფრთოვანებენ, როგორც მხატვარს, რეჟისორს, როგორც ადამიანს.

ვეთანხმები იმას, რომ ასეთი დაუმორჩილებელი სულები დარჩნენ მხოლოდ რუსეთსა და საქართველოში და როდესაც მოსკოვში ან თბილისში ჩამოვდივარ, მათ ყოველთვის სიხარულით ვპოულობ.

***— თქვენი მეგობარი მწერალი ანდრეი ბიტოვი ინტერვიუში მეუბნებოდა, რომ უძრაობის დროს საქართველო მისთვის თავისუფლების ერთადერთი კუნძული იყო. თქვენი აზრით, დღევანდელმა საქართველომ თუ შეძლო თავისუფალი სულის შენარჩუნება?***

— საქართველო — ეს განსაკუთრებული მუხლია, უცნაურზე უცნაური ქვეყანა, რომელმაც ათასწლეულებს გაუძლო. იყო დაპყრობილი, გათელილი, გადამწვარი, მაგრამ — გაუტეხელი და ეს დღემდე გრძელდება. თითოეული ქართველი თავის მიწიერ ცხოვრებას სერიოზულად არ აღიქვამს. მას საკუთარი თავი მოაქვს, როგორც სტუმარს ამ ქვეყანაზე, რომელსაც ესმის, რომ საფლავში ვერაფერს წაიღებს, რომ ყველაფერი — დიდება, ფული, ძალაუფლება — დროებითია. არაფრით მოვედით და არაფრით წავალთ. ვფიქრობ, სწორედ ამ ფილოსოფიის წყალობით, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, დღემდე მოვიდა.

საქართველოში ყველანი ძალიან დიდი ყურადღებით აკვირდებიან იმას, თუ როგორ იქცევიან მათი ახლობლები და მეგობრები. ახლობელი ადამიანის კონცენტრირებული თვალი შენ გიხსნის არასაჭირო მოძრაობებისგან, მდაბალი ქცევისა და სრულიად ბანალური მოქმედებებისგან, რომლებსაც ყველანი სჩადიან. ქართველებმა იციან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ — ქვეყნად ყველაფერი ცუდად დამთავრდება, ამიტომ ისინი საკუთარი ცხოვრების თითოეულ ბედნიერ მომენტს უფრთხილდებიან.

ქართულ მენტალიტეტთან შეხებისას ჩემმა მეგობარმა ანდრეი ბიტოვმა გაიგო, რომ უკეთესია, იყო თავისუფალი, ვიდრე დამოკიდებული ადამიანი. მან საქართველოში ყოფნისას ეს ცოდნა მართლაც შეიძინა.

***— საფრანგეთი ასევე თავისუფლების ქვეყანაა?***

— საფრანგეთი, ისევე, როგორც საქართველო, უცნაური ხერხით გადარჩა. თუმცა, უმსგავსობები და დანაშაულები ამ ქვეყანაში საკმარისად ხდებოდა — ინკვიზიცია, ასევე თავისი სისასტიკით საშინელი ფრანგული რევოლუცია. მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სული შეინარჩუნა, მაგრამ ცხოვრებისგან სიხარულის მიღების უნარი დაკარგა. პარიზი უკვე აღარ ჰგავს „დღესასწაულს, რომელიც ყოველთვის შენთანაა“. ყოველ შემთხვევაში, მე ამას ვერ ვგრძნობ.

***— გყავთ თუ არა პარიზში ახლო მეგობრები?***

— დედამიწაზე, მათ შორის პარიზშიც, კიდევ დარჩნენ ჩვეულებრივი ადამიანები და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ჩემს სულს ათბობენ და ახალი ფილმების გადაღებას შთამაგონებენ. მაგრამ პარიზი ჩემთვის ყოველთვის იყო და რჩება მხოლოდ სამუშაო ადგილად. საჭიროა გააგრძელო ამ სამყაროში არსებობა და შეეცადო, საკუთარი ღირსება შეინარჩუნო.

***— როდესაც ანდრეი ბიტოვს ჰკითხეს, თუ როგორ წარმოუდგენია მას საკუთარი მკითხველი, მწერალმა უპასუხა: „ანგელოზისნაირ ადამიანად“. ვინ არის თქვენი მაყურებელი, ვის უძღვნით თქვენს სურათებს?***

— ჩემი მაყურებელი ზუსტად ისეთივე უნდა იყოს, როგორიც მე ვარ. არ ვაპირებ, რევერანსები გავუკეთო იმ ადამიანებს, რომლებიც არ კითხულობენ წიგნებს, ვერ ერკვევიან ფერწერაში, არ უსმენენ კლასიკურ მუსიკას. წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რომ ჩემს ფილმზე ტიშინსკის ბაზრის მოვაჭრეები მოვლენ. არ მსურს, ცინიკოსად გამოვიყურებოდე, მაგრამ, ასე მგონია.

***— თქვენი ფილმების სახელწოდებები პოეტური კრებულების სახელწოდებას გვახსენებენ: „შემოდგომის ბაღები“, „ფოთოლცვენა“, „აკვარელი“, „ჭეშმარიტება ღვინოშია“. მაშინვე ჩანს, რომ ლექსები გიყვართ. ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი?***

— ორი საყვარელი პოეტი მყავს — ჰომეროსი და არტურ რემბო. ორივენი პოეზიას, როგორც ხელობას, ისე არ ეპყრობოდნენ, წერდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სურდათ. როცა რემბომ იგრძნო, რომ შთაგონება დაკარგა, მაშინვე შეწყვიტა ლექსების წერა და ყავითა და ტკბილეულით მოვაჭრე გახდა.

***— თქვენს სურათში რომელი სახელგანთქმული მსახიობი ქალის, ვარსკვლავის მიწვევაზე ოცნებობთ?***

— რაც უფრო სახელგანთქმულია აქტრისა, მით უფრო სახიფათოა მასთან მუშაობა, რადგან ის თქვენს სურათს სწრაფად დაანგრევს. ნებისმიერი ქალბატონი, რომელსაც რაღაც უნახავს ამ ქვეყანაზე, რაღაც უგრძვნია, ასეთ აქტრისაზე გაცილებით საინტერესოა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



## ვაჟა აზარაშვილი შემოქმედებით საღამოს გამართავს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში 20 აპრილს კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის საღამო გაიმართება. კონცერტზე მის ნაწარმოებებს შეასრულებენ ლელა მჭედლიძე (ვიოლინო), თეა ჯავახია (ვიოლინო), თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო), ნინო რამინიშვილი (ფორტეპიანო), გიორგი სუხიტაშვილი (ვოკალი), სოფო გელოვანი (ვოკალი), ქალაქ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“.

ვაჟა აზარაშვილი ხალხური მუსიკის დიდი მოყვარულის ოჯახში დაიბადა. იგი წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. მისი შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შექმნილი აქვს ნაწარმოებები მუსიკალური თეატრისთვის, სიმფონიური და კამერული ორკესტრებისათვის, საესტრადო სიმღერები. როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, მის შემოქმედებით ინდივიდუალობას იშვიათი გულწრფელობა, გამომსახველობა და თვითგამოხატვის თავისუფლება განსაზღვრავს. მან ბევრი სიმღერა მიუძღვნა მშობლიურ თბილისს — „თბილისური ლირიკული“, „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა მეტეხზე“, პოპულარულია მისი სიმღერები „მუსიკა“, „დღეები მიდიან“, „პატარა გოგო“, „მზე ჩემი მეგობარია“, „ისევ წვიმს“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, „დინამო, დინამო“... მის სიმღერებს დღესაც წარმატებით ასრულებენ მომღერლები ნანი ბრეგვაძე, გიული ჩოხელი, ვახტანგ კიკაბიძე, ეთერ კაკულია, თამარ გვერდწითელი, ანსამბლები „ორერა“, „რერო“, „ივერია“, „თეატრონი“.

ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები ხშირად სრულდება როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. გამოცემულია გრამფირფიტები და ოთხი კომპაქტ-დისკი. კომპოზიტორს ქართულ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის მრავალი საპატიო წოდება და პრემია მიენიჭა. არის საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი.

**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:**

— ამ კონცერტზე უმთავრესად კამერული მუსიკა შესრულდება. მაქვს ნაწარმოებები, რომელიც რახმანინოვის, სულხან ცინცაძის ხსოვნას ეძღვნება. „საქართველოს სიმფონიეტას“ ქუთაისელი არაჩვეულებრივი ადამიანი რევაზ ჯავახიშვილი უდირიჟორებს.

***— ხშირად ახერხებთ შემოქმედებითი საღამოების ჩატარებას?***

— ადრე ჯგუფი მყავდა და ერთად ვატარებდით საღამოებს. ამ ჯგუფში ვიყავით მე, ცოლ-ქმარი ხელაშვილები და მერაბ დონაძე, მაგრამ, სამწუხაროდ, მერაბ დონაძე გარდაიცვალა და დავრჩი ასე მეგობრის გარეშე.

***— კიდევ როდის ჩაატარებთ საღამოს?***

— წელს საიუბილეო წელი მაქვს — 75 წელი მისრულდება, ამიტომ თბილისის მერიამ შემოდგომაზე დაგეგმა ჩემი კამერული, საესტრადო სიმღერებისა და სიმფონიური კონცერტები. რა ვიცი, ახლა ამ ბოლო დროს ყველა მეფერება და კარგს ამბობს ჩემზე, მაგრამ, იყო დრო, როცა ყველა მაძაგებდა.

***— ახალ სიმღერებს ისევ წერთ?***

— რა თქმა უნდა, სულ ვწერ. ბიძინა კვერნაძე მეტყოდა ხოლმე, ბიჭო, რას წერ ამდენსო და მეც ვუპასუხებდი ხოლმე, წერასა ვარ ატანილი-მეთქი. ასე ვარ ახლაც, სულ ვწერ და ვწერ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 6. წიგნების, სურათების, სამუზეუმო ექსპონატების გარკვეული ნიშნით შერჩეული ნუსხა; 8. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 11. უბანი თბილისში; 12. ძველი ირანული სალიტერატურო ენა; 16. კუთხე საქართველოში; 17. მდინარე პოლონეთში; 18. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 7. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი, დასკვნა; 9. ქრისტიანული სამლოცველო; 10. ხელსაქმის, საქონლის, მარცვლეულის მფარველი ქალ-ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 13. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 14. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 15. ბებერი თხა; 19. ობობას ძველებური სახელწოდება; 20. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 21. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 22. მოღრუბლული დილა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალილო; 4. კონკა; 5. მიფუნე; 6. იმელმანი; 8. გამყრელიძე; 10. გუგენჰაიმი; 11. კოკოშკოვი; 14. სონეტი; 15. იგრიკა; 16. მალტა.

**თარაზულად:** 1. თერჯოლა; 4.კიმიგაიო; 7. ლიონი; 9. ფოლგა; 12. ვერსია; 13. ომალო; 14. სლენგი; 17. პლანკი; 18. კვინტილიონი; 19. დერვიში; 20. საბენა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯამე; 2. ირი; 3. მალევიჩი; 4. დო; 5. ლიმონათი; 6. ბანა; 7. ბიზნესი; 10. ზღვა; 11. პართენონი; 12. სათაფლია; 13. რელე; 16. ბონსაი; 18. დრენაჟი; 19. ისინდი; 21. ძეხვი; 24. ტოკაი.

**თარაზულად:** 1. ჯეირანი; 3. მუხუდო; 8. აიმაკი; 9. მუზა; 14. კვირა; 15. პერონი; 17. თორი; 20. ჩხეიძე; 22. თართი; 23. მეი; 26. სონი; 27. ანსა; 28. კარნავალი.

## გიგო გაბაშვილი ფოტოხელოვანიც ყოფილა

ეკა ირემაშვილი

20 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში „პრაიმტაიმი“ საზოგადოებას ახალ პროექტს წარუდგენს სახელწოდებით „გიგო გაბაშვილი, როგორც ფოტოხელოვანი“. პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად.

პროექტის პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნება გიგო გაბაშვილის მიერ გადაღებული ფოტოები, მისი ცნობილი ტილოები და პირადი ნივთები. აქვე საზოგადოება შეიტყობს გიგო გაბაშვილის ფოტოალბომის შესახებ, რომლის გამოცემასაც „პრაიმტაიმი“ უახლოეს მომავალში აპირებს. ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელმა გიგო გაბაშვილმა დაასრულა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ბატალური მხატვრობის კლასი. იმავე წელს დავით სარაჯიშვილის სახლში მოაწყო პირველი პერსონალური გამოფენა. ამერიკელი მილიონერის შარლ კრენის დაკვეთით შექმნა ეპოქალური ტილოების სერია სამარყანდსა და ბუხარაზე.

ამავე პერიოდში დაიწყო არაჩვეულებრივი ნატურალისტური ფოტოების გადაღებაც, რომლებმაც ჩვენამდე მინის ნეგატივების სახით მოაღწია. ეს ნეგატივები პირველად „პრაიმტაიმმა“ გაამჟღავნა. შუა აზიიდან დაბრუნების შემდეგ გაემგზავრა მიუნჰენის სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად. გიგო გაბაშვილი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი. დიდი მხატვარი 1936 წელს დაიღუპა. სავარაუდოდ, კომუნისტებისთვის მიუღებელი მსოფლმხედველების გამო ის საბჭოთა რეჟიმმა იმსხვერპლა.

ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის საფლავი სულ ახლახან ვაკის სასაფლაოს უძველეს მონაკვეთზე აღმოაჩინეს. დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, გიგო გაბაშვილს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენებენ. ყველა ხარჯს საუკთარ თავზე დედაქალაქის მერია აიღებს. ვინაიდან გიგო გაბაშვილს მემკვიდრეები არ ჰყავდა, წლების განმავლობაში მისი განსასვენებელი მიტოვებული იყო.

## დღის კალენდარი

**20 აპრილისთვის**

წლის 110-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 255 დღე.



### საეკლესიო კალენდარი

ვნების შვიდეული. დიდი ოთხშაბათი

ლიტურგია პირველშეწირულისა.

ღირსისა გიორგი ალმსარებლისა, მიტილენელი მიტროპოლიტისა (820-ის შემდეგ); მოწამისა კალიოპესი (304); მოწამეთა: რუფინე დიაკონისა, აკვილინასი და მათთანა ორასთა მხედართა (დაახლ. 310); ღირსისა სერაპიონ მონაზონისა.

**დაიბადნენ:**

1856 — ვასილ როზანოვი, რუსი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

1876 — იოსებ იმედაძე, მწერალი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1952 წელს.

1889 — ადოლფ ჰიტლერი (შიკლგრუბერი), გერმანიის რაიხსკანცლერი, გარდაიცვალა 1945 წელს.

1926 — ელიზაბეტ II, დიდი ბრიტანეთის დედოფალი, გარდაიცვალა 1952 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1314 — კლიმენტ V, რომის პაპი, რომელიც დევნიდა ტამპლიერთა ორდენს.

1947 — ქრისტიან X, დანიის მეფე.

**მოვლენები:**

1770 — გაიმართა ასპინძის ბრძოლა, ქართულმა ლაშქარმა ერეკლე II—ის სარდლობით დაამარცხა ოსმალთა ჯარი.

1656 — რუსეთში ვერცხლის მონეტები შეცვალა სპილენძმა.

1770 — ინგლისელმა ნავიგატორმა ჯეიმს კუკმა ავსტრალიაში მიაღწია ჩიდილოეთ უელსს.

1902 — კიურებმა მიიღეს სუფთა რადიუმი

*მედიანიუსი*

*საერთაშორისო*

# კიევმა ჩერნობილისათვის ფული ვერ მოაგროვა



კიევში გამართული საერთაშორისო კონფერენციის დროს უკრაინის ხელისუფლებმა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ახალი სარკოფაგის მშენებლობისათვის აუცილებელი სახსრების სრულად შეგროვება ვერ შეძლეს.

შეგროვილია აუცილებელი თანხის 75%.

25 წლის წინ აფეთქებული რეაქტორის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უკრაინას 740 მლიონი ევრო აკლდებოდა, მაგრამ საერთაშორისო დონორები მხოლოდ 550 მილიონს დაჰპირდნენ. ამ თანხიდან 110 მილიონს ევროკავშირი გამოყოფს.

მიუხედავად ამისა, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ კონფერენციამ, რომელშიც 40-მდე ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა, ჯერ მხოლოდ წინასწარი შედეგები გამოიღო.

1997 წელს საერთაშორისო დონორების მიერ ფონდ „უკრიტიეს" შექმნის შემდეგ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურისათვის ახალი დამცავი ნაგებობის ღირებულება 1 მილიარდ დოლარად შეფასდა.

კიევის კონფერენციისათვის „უკრიტიემ" 865 მილიონი ევრო მოაგროვა, მაგრამ ახალი სარკოფაგის მშენებლობა არ დაწყებულა. ამასთან, საპროექტო ღირებულება უკვე 1.5 მილიარდ ევროს აღწევს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, რომელიც ფონდ „უკრიტიეს" სახსრების განმკარგულებლად ითვლება, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე სამუშაოების დასრულების ახალი თარიღი დაასახელა — 2015 წელი. უფრო ადრეული გეგმების თანახმად, სარკოფაგის მშენებლობა ჯერ — 2005, შემდეგ 2010 და 2012 წელს უნდა დასრულებულიყო.

იმავდროულად, ამჟამად ჩერნობილის მეოთხე ენერგობლოკზე არსებული სარკოფაგი, რომელიც 1986 წელს ნაჩქარევად ააგეს, მხოლოდ 30 წელზე იყო გათვლილი, ანუ მისი ექსპლუატაციის ვადა ხუთი წლის შემდეგ იწურება.

ჩერნობილის კატასტროფის 25 წლისთავთან დაკავშირებული კონფერენცია მრავალი წლის განმავლობაში იგეგმებოდა. ამჟამად მის მსვლელობაზე სერიოზული ზეგავლენა შეიძლება მოხდინოს იაპონიაში ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში მომხდარმა ავარიამ.

უკრაინის პოლიტიკოსების ერთ ნაწილს, მათ შორის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს მიაჩნიათ, რომ იაპონიის მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, ჩერნობილის პრობლემის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

იანუკოვიჩის თქმით, ამ მასშტაბის კატასტროფების გადაჭრა მხოლოდ ერთი ქვეყნის ამოცანას არ წარმოადგენს, რადგან ისინი მთელი კაცობრიობის გამოწვევად შეიძლება იქცნენ.

თუმცა, ზოგი მიმომხილველი იმასაც აღნიშნავს, რომ ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ავარიამ, პირიქით, ჩერნობილის კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციისათვის სახსრების შეგროვებას ხელი შეიძლება შეუშალოს.

წარსულში იაპონია ჩერნობილის ერთ-ერთი წამყვანი სპონსორი იყო, მაგრამ ამჟამად მასშტაბურ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით ტოკიოს პრიორიტეტები შეიძლება შეეცვალოს და ფინანსური სახსრები საკუთარი პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართოს.

ჩერნობილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დონორი, აშშ, ასევე დაჰპირდა იაპონიას დახმარებას, რამაც უკრაინისათვის სახსრების გამოყოფაზე უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს.

წლეულს უკრაინის ხელისუფლებს „უკრიტიეს" ფონდში მხოლოდ 3 მილიონი ევროს გადარიცხვა შეუძლიათ, ხოლო მთლიანად, პროექტის არსებობის განმავლობაში უკრაინამ 104 მილიონი ევრო გადარიცხა.

იანუკოვიჩმა, გარდა ამისა, ამას წინათ განაცხადა, რომ ჩერნობილის ავარიასთან დაკავშირებით უკრაინის საერთო ხარჯებმა 12 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამჟამად კი ოფიციალურ კიევს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაც არ შეუძლია, რაც უკრაინის კანონებით არის განსაზღვრული.

გასული კვირის ბოლოს უკრაინაში ლიკვიდატორების საპროტესტო აქცია გაიმართა, რომლებმაც მათთვის სპეციალური დანამატების გადახდა და ვალების ლიკვიდაცია მოითხოვეს. სახელმწიფოს დავალიანებამ ლიკვიდატორების წინაშე 1.5 მილიარდ გრივნას, დაახლოებით 190 მილიონ დოლარს მიაღწია.

# კადაფი ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს მუშაობის შესაძლებლობას დაჰპირდა

ლიბიის ლიდერ მოამარ კადაფის მთავრობა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს ლიბიაში მუშაობის შესაძლებლობას დაჰპირდა.

ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომლებს ტრიპოლიში ბაზების შექმნის შესაძლებლობა ექნებათ და ისინი ქვეყანაში თავისუფლად შესვლასა და ქვეყნიდან გასვლას შეძლებენ.

ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა ქალაქ მისრატში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე გაამახვილეს ყურადღება. ეს ქალაქი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარე და ოპოზიციის კონტროლს დაქვემდებარებული ერთადერთი დასახლებულ პუნქტია. იგი უკვე შვიდი კვირაა კადაფის ჯარების მიერ არის ალყაშემორტყმული.

როგორც ვარაუდობენ, ქალაქთან მიმდინარე ბრძოლების შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა.

ორშაბათს გაეროს მიერ დაქირავებულმა გემმა მისრატიდან ბენგაზისაკენ ათასამდე ადამიანი გადაიყვანა. გაეროს წარმომადგენლების თქმით, მისრატში კიდევ ათასობით ადამიანი რჩება, რომლებიც ევაკუაციას მოელიან.

მეამბოხეებმა მისრატში განაცხადეს, რომ ორშაბათისათვის მათ დაკარგული პოზიციების უმეტესობა დაიბრუნეს და ქალაქის მეტი ნაწილი მათი კონტროლის ქვეშ რჩება.

ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობისათვის ცეცხლის შეწყვეტაა საჭირო, მაგრამ ლიბიის ოფიციალური მთავრობა ცეცხლის შეწყვეტის პასუხისმგებლობის აღებას არ აპირებს.

ქალაქში თავდება მედიკამენტები და კვების პროდუქტები.



ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მას განსაკუთრებით ძლიერ ცეცხლს უშენდნენ. ლიბიაში ნატოს სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელმა, ამერიკელმა გენერალმა ჩარლზ ბუჩარდმა განაცხადა, რომ კადაფის ძალები ამორალურ და მზაკვრულ ტაქტიკას მიმართავენ. მისი თქმით, კადაფის ჯარისკაცები არ ატარებენ ფორმას, მეჩეთების, სკოლების, საავადმყოფოების სახურავებზე იმალებიან და ქალებსა და ბავშვებს მძიმე ტექნიკის ფარად იყენებენ.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 20 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" 17&00 fy& abkvb @uj'bkf# 17&30 cfntktdbpbj js[-sfdb_vfstc cf[fht,f **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **23.00** მხ. ფ. **"მატყუარა იაკობი"** **01.05** მოამბე **01.25** ჩვენი ეზო **02.25** ევროპული არჩევანი **03.25** მხ. ფ. **"საბრალონი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"უბიწოების ხანა"** **01.00** მხ. ფილმი **"ვერტიკალური ზღვარი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** "ახალი გადაცემა" **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **00.00** მხ. ფ. **"ეონ ფლაქსი"** (18) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როუა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.30** **შეგირდი** **00.00** მხ. ფ. **"რა სურთ ქალებს"** (მ. გიბსონი) (სუბტ.) **02.30** მხ. ფ. **"მოგზაური"** (18) (დ. არკეტი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფ. **"ტალადეგას ღამეები"** (გ. კოული) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სადვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** დოკ. ფილმი "ათონის მთა" **13.35** კონცერტი – ხათუნა კოკოჩაშვილი **14.20** დოკ. ფილმი "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-2ნ. **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ☐ველი ალთქმის განმარტებანი **19.15** დიდმარხვის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **19.25** დოკ. ფილმი "სინა, ადგილი უფლისა და ადამიანის შეხვედრისა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **00.35** სუფთა დაფა **01.20** გადაცემა "კარაბადინი" **01.45** დოკ. ფილმი "კაბადოკიის წმინდა ქვები"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე გუგული ფორჩხიძე, შვილები ეკატერინე, ნინო, სოფიო, თამარი, ქეთევანი, რუსუდანი, სალომე, მარიამი, ელენე, მერი, ნატო, იოსები, და მერი ლაცაბიძე ოჯახით, ცოლისდა ხათუნა ფორჩხიძე ოჯახით, ცოლისძმები გრიგორ (გეგა) და გურამ ფორჩხიძეები ოჯახებით, ძმისშვილები, სიძეები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ილია (ნოდარ) ივანეს ძე ტალიაშვილი**

პანაშვიდი: სამშაბათს, ოთხშაბათს, 16 საათზე, ქ.თბილისი, დიდი დიღომი, III მიკრორაიონი, XX კორპუსი, ბინა 11-12.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 11 საათზე;

დაკრძალვა: მარნეულის რაიონის სოფელ სიონში.



**მერაბ ხურციას გახსენება**

ორი წელი სრულდება, რაც გაზაფხულის ფერებით დამშვენებულ აპრილს ენით აუწერელი ტკივილითა და დარდით ვხვდებით უშენობით გამწარებული შენი ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები. რაც დრო გადის, არ ნელდება ეს ტკივილი, უფრო მძაფრდება უშენობის განცდა, რადგანაც უფრო და უფრო გვენატრები და უფრო გვჭირდები და გვესაკლისები.

48 წლის წახვედი ჩვენგან. ვერაგმა სენმა წაართვა შენი თავი საყვარელ ოჯახს, ნათესავ-მეგობრებს, სამსახურს. ერთადერთი ვაჟის გარდაცვალებამ სიბერე გაუმწარა შენს დედას, განუზომელი დარდით აავსო შენი საყვარელი მეუღლის გული, სიზმრებში დაგეძებს უშენობით ცრემლშეუმშრალი შენი დაიკო. შენს დაკარგვას ვერ გადავიტანდით, ამ სიცარიელეს რომ არ ავსებდნენ სიცოცხლით სავსე შენი შვილები, მიხეილი, რომელიც უკვე თავისი სპეციალობით მუშაობს, ნიკა წელს ამთავრებს უმაღლესს, ანა უკვე მეხუთე კლასშია, პატარა ლუკა კი მალე სამი წლის გახდება. დათომ დაამთავრა უნივერსიტეტი და მუშაობს.

გიყვარდა ადამიანები და წიგნები. ყველგან გამოირჩეოდი საქმისადმი დაუოკებელი სიყვარულით, მიზანსწრაფულობით. ჩინებულად იცოდი შენი საქმე. იყავი განათლებული, გქონდა ნატიფი გემოვნება. დახვეწილი შინაგანი კულტურით, თავაზიანობით ყველას ხიბლავდი და პატივისცემას იმსახურებდი.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლე. უფალმა აქაც გამოგარჩია. ახლა მამაშენთან ერთად ლოცავ და ელოლიავები შენს ლამაზ ოჯახს, უსაყვარლეს ადამიანებს. ამჟამად ესაა ჩვენი ნუგეში და კიდევ ის, რომ წუთისოფელი საამაყოდ, უმწიკვლოდ გალიე, ლამაზად იცხოვრე და ასეთად დაამახსოვრდები ყველას შენ — მერაბ მიხეილის ძე ხურცია.

*შენი მოსიყვარულე ოჯახი*



**ნათელა ტომარაძეს**

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყველას ძალიან გვენატრები. ძნელი აღმოჩნდა უშენოდ ერთი წლის გატარება.

ცხოვრება გრძელდება, მაგრამ შენი მონატრება უკვე გვტანჯავს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს!

*ოჯახი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6454 | ევრო — 2,3806 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6917 | რუსული რუბლი — 0,0588 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — 12-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — 19-12

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 16-18, ღამით — 4-12

## ამინდის პროგნოზი 20 აპრილისთვის








## წამალი „ფერდი“

წამალი „ფერდი” შეიცავს არა ერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ფერდი დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა ,აგზნებულობა,შიში,ნერვული აშლილობა,დაძაბულობა)-დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი,აგრეთვე კუჭ-ნაწლავის-,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირის ღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**შემადგენლობა:**

- „ფერდი“-ს ფხვნილი (PULVER ,,PHERDI’’) – 1 კაფსულა – 0,3გ;
- „ფერდი”-ს ფხვნილი მზადდება წყავის (აუროცერასუს officinalis Roem.) ფოთლების საფუძველზე. ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა – 0,4 – 5%; მთრიმლავი ნივთიერებები – 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა – 1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;
- პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

წამალი **„ფერდი“** იკითხეთ აფთიაქებში.

**WWW.PHERDI.GE** ☎ 95-90-60


## ფანცხავა „დინამოსთან“ 3 წელი ითანამშრომლებს

ვახტანგ ფანცხავამ საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მის რიგებში 6-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

21 წლის ფეხბურთელი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მასმედიას კლუბის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ნემსაძემ, სპორტულმა დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა და დინამოელთა პრეს-ატაშემ გიგა გვენცაძემ წარუდგინეს.



**ზურაბ პოლოლიკაშვილი:**

— მინდა მივესალმო ვახოს, რომელიც თვითონ შეგვეხმიანა და „დინამოში“ თამაშის სურვილი გამოხატა. მივესალმები ყველა ქართველს, რომელსაც საქართველოში დაბრუნების და თამაშის სურვილი აქვს. ფანცხავას „დინამოში“ ჩარიცხვა კახა კაჭარავას დიდი დამსახურებაა, რომელიც იცნობდა ამ ფეხბურთელის შესაძლებლობებს. ის ჩვენთან ორი კვირის განმავლობაში ვარჯიშობდა და გადავწყვიტეთ მასთან კონტრაქტის გაფორმება. მას დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენთვის საინტერესო მატებაა. „დინამოსთვის“ თავდამსხმელი სერიოზული აქტივია, რადგან საქართველოში თავდამსხმელების დეფიციტია.

**ვახტანგ ფანცხავა:**

— „დინამოში“ თამაში ჩემი სურვილი იყო, რადგან ახალი გუნდის შენება იწყება და კლუბის ხელმძღვანელობა ახალგაზრდა, კარგი დონის ფეხბურთელებს ეძებს. „დინამოში“ თამაში ჩემთვის ძალიან დიდი პატივია და იმედია, გავამართლებ. „დინამო“ ყველასთვის საოცნებო კლუბია.

***— ევროპაში გატარებული ხუთი წლის შემდეგ, საქართველოში დაბრუნება უკან გადადგმულ ნაბიჯად ხომ არ მიგაჩნიათ?***

— მე არ ვთვლი უკან გადადგმულ ნაბიჯად, რადგან 21 წლის ვარ და თუ ვითამაშებ, მომავალში უფრო მაღალი დონის კლუბში შემიძლია წასვლა.

***— ბოლო პერიოდში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს თუ ადევნებდით თვალს?***

— არ მიწევდა და ვერ გეტყვით, როგორი დონეა.

***— ახალ კლუბში ადაპტაცია უკვე გაიარეთ?***

— საქართველოში რა ადაპტაცია უნდა დამჭირდეს? კლუბში კარგი სიტუაციაა. მე ორი კვირა ვივარჯიშე და ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის.

შეგახსენებთ, რომ ფანცხავას კონტრაქტი უნგრულ „დიორთან“ აკავშირებდა, მაგრამ ფეხბურთელის თქმით, კლუბთან ხელშეკრულება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა. „დიორის“ გარდა, ის „გაგრაში“, ფრანგულ „ლე მანში“, უკრაინულ „მეტალისტში“ და უნგრულ „ვაშაში“ გამოდიოდა.

„დინამომ“ ფეხბურთელი განაცხადში უკვე შეიყვანა და მას ოფიციალურ შეხვედრებში თამაშის უფლება აქვს.

მ. ჟ.

## იუმორი



— ვარჯიშის დაწყება გადავწყვიტე. საბრძოლო ხელოვნებიდან რომელს მირჩევთ?

— შენ სამარიაჟოდ გინდა თუ თავდაცვისათვის?

— თავდაცვისათვის.

— მაშინ სირბილს გირჩევ...

* * *

— ქალიშვილო, რაღაც მემართება, უბრალოდ ადგილს ვერ ვპოულობ.

— დამშვიდდით, არაფერი გჭირთ, უბრალოდ სხვა ვაგონში ამოხვედით...

* * *

— თეთრი ზოლები შავ წინდებზე დაჭუჭყიანების ინდიკატორების როლს ასრულებენ...

* * *

— გუშინ ადრე დავწექი დასაძინებლად.

— მართლა? რომელზე?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ დასაძინებლად გუშინ დავწექი...

* * *

მასწავლებელი ბავშვებს გაყოფას უხსნის. დაფაზე დაწერა „2:2“ და კლასს ეკითხება:

— ბავშვებო, ვინ იცის, რა არის ეს?

— ფრე, მასწავლებელო...

გ. თ.






## ასტროპროგნოზი 20 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — საღამო მშვენიერი იქნება, რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — გელით ძვირფასი შენაძენი. **მშვილდოსანი** — იფიქრეთ საუკეთესოზე, სასიამოვნო დღეა. **თხის რქა** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მერწყული** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იაპონური ჭიდაობა; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იგავ-არაკთა მამამთავარი; 4. წნული ქოხი სამეგრელოში; 5. მდინარე ტოკიოში; 6. კუთხე საქართველოში; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. საჰაერო-საბაგირო გზების სახელწოდება საფრანგეთში; 11. ვარდების ბაღი; 14. სამურაბე ლამბაქი; 15. ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 16. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. ამერიკელ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის ბალეტი; 7. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 9. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. რესტორანი საესტრადო წარმოდგენით; 14. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 17. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ჩანაწერი; 19. ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 26. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

